645
1958 / 3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 10 ოქტომბერი 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა




ლენინს, სტალინს

თბილისზე ფრიალებს საბჭოთა
ხელისუფლების წითელი დროშა.
გაუმარჯოს საბჭოთა
საქართველოს!

ორჯონიკიძე

გარეკანზე—«კომკავშირული მარში»

მხატვარი ირ. გორდელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ ბ ი ლ ი ს ო,

მზის და ვარდების მხარეო...



ლენინის მოედანი

# თბილისი

1500 წლისაა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

მსოფლიოს ამ ერთერთმა უხუცესმა ქალაქმა 15 საუკუნე განვლო განუწყვეტელ ბრძოლებსა და შრომაში, გაუძლო მრავალ ისტორიულ ქარტეხილს, მრავალ ძნელბედობას. ჩვენი სამშობლოს მტრებმა ბევრჯერ სცადეს მიწისაგან აღეგავათ იგი, მაგრამ ზღაპრული ფენიქსის მსგავსად მუდამ პოულობდა ძალებს, რომ მკვდრეთით აღმდგარიყო. საუკუნეთა სიმრავლით დამძიმებული, ჭაღარამოსილი შემოვიდა იგი საბჭოთა ეპოქაში, და ისევ გაჭაბუკდა და გარდაიქმნა, არა მარტო საქართველოს ინდუსტრიულ ცენტრად, არამედ საბჭოთა კავშირის ერთერთ კეთილმოწყობილ, გრანდიოზულ ქალაქად იქცა.

ლამაზია ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ: მეფე ვახტანგ გორგასალმა თბილისის უდაბურ ტყეებში ნადირობისას დაჭრილ ხოხობს მიმინო დაადევნა. ხოხობი და მიმინო თბილისის ცხელ წყალში ჩაიფუფქნენ. ეს წყარო მკურნავი აღმოჩნდა და ვახტანგმა ბრძანა აქ ქალაქი გაეშენებინათ... არის რაღაც სიმბოლური ამ ლეგენდაში. ხალხის ფანტაზიამ თავისი დედაქალაქის წარმოქმნა მაცოცხლებელ წყაროს დაუკავშირა. თქმულებაში მართალი ისაა, რომ ვახტანგ გორგასალმა ნამდვილად დაიწყო თბილისის შენება ქალაქად, მაგრამ უდაბური იგი არც მანამდე ყოფილა. თბილისის ციხე, აგებული ჯერ კიდევ IV საუკუნეში, მტრებისგან იცავდა საქართველოს მაშინდელ დედაქალაქს — მცხეთას, ხოლო თბილისის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრება ენეოლითის ეპოქაში, ანუ ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულშიც არის დადასტურებული.

გეოგრაფიულად თბილისს მეტად მოხერხებული მდებარეობა ეკავა. აქ გადიოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში და ჩრდილოეთიდან სამხრეთში მიმავალი სავაჭრო გზები. იგი ამავე დროს მთელ ახლო აღმოსავლეთში ერთერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

ყოველივე ამან დიდი როლი ითამაშა თბილისის ეკონომიურ ზრდასა და მთელი საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად მის გადაქცევაში.

არაბი გეოგრაფი X საუკუნის პირველი ნახევრის თბილისზე შემდეგს მოგვითხრობს: სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიანნათესებიანი. მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან. აქვს თბილი წყლები... მთელს არანში ბარდავზე, დარუბანდზე და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობსო.

თბილისის როლი განსაკუთრებით გაიზარდა XI—XII საუკუნეებში. დავით აღმაშენებელმა იგი მაჰმადიან დამპყრობთა ბატონობისგან დაიხსნა და საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის სატახტო ქალაქად გადააქცია. ამიერიდან თბილისი წინააზიის უდიდესი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი გახდა. დაიწყო ქალაქის აყვავება, აიგო სასახლეები, ციხე-სიმაგრეები,

ქარვასლები. ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო XIII საუკუნის თბილისს უწოდებს «მშვენიერ ქალაქს», რომელიც გარშემორტყმული ყოფილა მრავალი ციხე-სიმაგრითა და სოფლებით.

XIII საუკუნიდან ქართველ ხალხს მძიმე დრო დაუდგა. თათარ-მონღოლმა დამპყრობლებმა ცეცხლითა და მახვილით გამოიარეს მთელი აზია, დაიპყრეს რუსეთი და ამიერკავკასია. მონღოლთა ორსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ საქართველომ მაინც ვერ ამოისუნთქა. შაჰის ირანი და სულთანური თურქეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ ამიერკავკასიის დაპყრობა-მიტაცებაში. ამ ბრძოლის ასპარეზი საქართველო და მისი დედაქალაქი იყო. მონღოლთა ბატონობის ხანაში დაუძლურებულმა ქალაქმა შემდეგ არაერთგზის განიცადა ირანელთა შემოსევა, თურქთა ურდოების თარეში. დამპყრობთა მოძალებას ზედ ერთვოდა ფეოდალური განკერძოება და შინა ომები. ასეთ ვითარებაში ფერხდებოდა თბილისის ზრდა-განვითარება, სუსტდებოდა მისი ეკონომიური ძალ-ღონე, მიუხედავად ამისა, თბილისი მაინც ინარჩუნებდა დაქუცმაცებული საქართველოს ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრის მნიშვნელობას.

1386 წელს საქართველოში შემოიჭრნენ აზიიდან მოსული ურდოები კოჭლი თემურის ხელმძღვანელობით. დამპყრობლებმა მახვილი პირველ რიგში თბილისს დაუმიზნეს და დიდი მსხვერპლის ფასად აიღეს იგი. თემურლენგის შემოსევა მრავალჯერ განმეორდა, მისი ყოველი შემოჭრა ქალაქში სისხლის გუბეებს აყენებდა. თემურის ამაოხრებელ ლაშქრობათა შემდეგ თბილისმა იწვნია ჯეჰან-შაჰის, უზუნ-ჰასანის, იაყუბ-ყაენის, ხოლო შემდეგ შაჰ-აბასის ურდოების გამანადგურებელი თარეში.

საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება და თბილისის ეკონომიური ცხოვრების აღმავლობა, XVIII საუკუნეში ერეკლე II დროიდან რომ დაიწყო, შეაფერხა იმ საშინელმა დარტყმამ, რომელიც თბილისს ირანის მპყრობელმა აღამაჰმადხანმა მიაყენა. კრწანისის ტრაგედიას 1795 წელს მოჰყვა თბილისის განადგურება, გაძარცვა და აოხრება. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი ჭრილობა, რომელსაც თბილისი კვლავ ცოცხალი გადაურჩა. ამ დროიდან თბილისისა და მთელი ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

ქარტეხილებით აღსავსე ცხოვრების მიუხედავად, თბილისი ინარჩუნებდა ხელმძღვანელ როლს ეროვნული კულტურის წინსვლა-აღორძინების საქმეში, ძირძველი ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის ცენტრს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში აღორძინებულმა ქართულმა კულტურამ, რომლის გავლენა დიდი იყო მეზობელ ქვეყნებზე, შემდეგაც, მონღოლების, თურქ-ირანელ დამპყრობთა თარეშის და შინაგანი აშლილობის წლებშიც ძირითადად შეინარჩუნა თავისი ეროვნული მეობა და განვითარება არ შეუწყვეტია,

XVI-XVIII საუკუნეების თბილისში იქმნებოდა ქართული პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები. თეიმურაზის და არჩილის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის, ვახუშტი ბატონიშვილისა და დავით გურამიშვილის მოღვაწეობა მუდამ იცოცხლებს თბილისის დიდებად. თბილისის სტამბაში იბეჭდებოდა გენიალური «ვეფხის ტყაოსანი» და სხვა ქართული წიგნები. ქართული კულტურის აღორძინებასთან ერთად თბილისში ისახებოდა ირანულ-ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი და მეთოდები, მტკიცდებოდა ქართველი და სხვა ამიერკავკასიელი ხალხების თანამეგობრობა.



რუსთაველის თეატრი

იბრძოდა რა ჩამორჩენილი და აგრესიული მეზობლების გარემოცვიდან თავის დასაღწევად, თბილისი მჭიდრო კავშირს აბამდა რუსეთთან და მასთან თანაცხოვრების დამკვიდრებით ერის ფიზიკური გადარჩენის გზებს სახავდა. XVIII საუკუნის თბილისში არსებობდა სახელმწიფო სკოლები, ისევ მოქმედებდა ყიზილბაშების დროს განადგურებული ქართული სტამბა, მოღვაწეობდა ქართული თეატრი, იწერებოდა ბესიკის და საიათნოვას შესანიშნავი ლექსები, იქმნებოდა წიგნთსაცავები. მაგრამ აღამაჰმადხანის სისხლიანმა ხელმა ყველაფერი ცეცხლს მისცა და ბრძოლაში მოქანცულ, შინაგანი კრიზისით დაუძლურებულ საქართველოს უკეთესმა შვილებმა ხსნა სამართლიანად დაინახეს პროგრესულ და ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებაში.

XIX საუკუნის დამდეგიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, თბილისმა იწყო ჭრილობების მოშუშება. დამპყრობთა მახვილი ამიერიდან მას აღარ შეჰხებია. მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში თანდათან მრავლდებოდა ქალაქის მოსახლეობა, იზრდებოდა ტერიტორია, შენდებოდა ახალი უბნები. თბი

ლისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრად იქცა. თბილისმა გააცხოველა ურთიერთობა ევროპის ბაზრებთან, რუსეთის იარმარკებთან. ქალაქში მომრავლდა სავაჭრო დაწესებულებანი. ფართო გაქანება მიეცა ხელოსნურ წარმოებას, გაჩნდა კაპიტალისტური მანუფაქტურები, აიგო ახალი შენობები, დასახლდა ორთაჭალა, კუკია, ჩუღურეთი, ვერის უბანი.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან თბილისში სწრაფად ვითარდება კაპიტალიზმი. ცარიზმის მიერ გატარებული ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ ქალაქში შენდება მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები, ვითარდება მანქანური წარმოება. თბილისი ამიერკავკასიის მსხვილ სარკინიგზო კვანძად იქცა.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე თბილისი წარმოადგენდა იმ მძლავრი კულტურული აღმავლობის ცენტრს, რომელსაც ახალ ვითარებაში საქართველო განიცდიდა. ამ საუკუნის 30-40-იან წლებში ქართველი ინტელიგენცია უკვე ჩაება კოლონიური ჩაგვრისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. რუსეთისა და ევროპის დემოკრატიული იდეები აჟღერდნენ სოლომონ დოდაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში. თბილისში გაიხსნა სახელმწიფო სკოლები და გამოვიდა ქართული გაზეთი, ისევ ამეტყველდა ქართული სცენა, გაიხსნა იტალიური ოპერა.

თბილისი იყო იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი, რომელმაც ფრთები გაშალა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. აქ მოღვაწეობდნენ ჩვენი ხალხის სასიქადულო შვილები: ილია და აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი და იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და სერგეი მესხი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა გამოჩენილი მესვეურები. თბილისის ხშირი სტუმარი იყო და აქ დაასრულა თავისი სიცოცხლე გენიალურმა ვაჟა ფშაველამ. თბილისის ქართული თეატრი, უსახსრობისა და დევნის მიუხედავად, დაჟინებით ნერგავდა პატრიოტიზმს და ამაღლებდა ხალხის თვითშეგნებას. თბილისში მუშაობდნენ ქართული ეროვნული მუსიკის კორიფეები ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ნიკო სულხანიშვილი, «საქართველოს ბულბული» ვანო სარაჯიშვილი და სხვები.

თბილისი იზიდავდა რუსი ხალხის საუკეთესო შვილებს, მათი სტუმრობა განამტკიცებდა რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციულ მეგობრობას.

დიდია თბილისის როლი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებაში. ქართველ მოღვაწეებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების გამოჩენილ ადამიანებს: მირზა ფატალი ახუნდოვს, ხაჩატურ აბოვიანს, გაბრიელ სუნდუკიანს, შირვანზადეს, ავეტიკ ისააკიანს, ოვანეს თუმანიანს და მრავალ სხვებს, რომელთაგან ბევრი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

თბილისს აქვს შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციები. XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო «მესამე დასის» გამოჩენა, რომელიც პირველ მარქსისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა საქართველოში და ეწეოდა პროლეტარიატის განთავისუფლების იდეების პროპაგანდას.

მალე თბილისი გადაიქცა ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ცენტრად. XX საუკუნის დასაწყისში აქ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული მიმართულების მძლავრი ორგანიზაციების მებრძოლი შტაბი—რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც მთელ მხარეში აზვირთებული რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორი გახდა. თბილისს ახსოვს მუშათა არალეგალური მაისობანი, მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციები, რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მასების უჩვეულო რევოლუციური აღტკინება, 1905 წლის აგვისტოში თბილისის საბჭოს შენობაში კაზაკთა სისხლიანი ხმლებით დატრიალებული ტრაგედია, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ცეცხლოვანი მოწოდებები, ნაძალადევსა და დიდუბეში 1905 წლის დეკემბერში აღმართული ბარიკადები, რეაქციის სუსხი, ბოლშევიკური ორგანიზაციების რბევა და პოლიციელთა თარეში, იმპერიალისტური ომის საშინელებანი, ცარიზმის დამხობის დღეებში განცდილი სიხარული, ოქტომბრის რევოლუციის განმათავისუფლებელი ქარიშხალი, მენშევიზმის დიქტატურის სიმძიმე, გერმანელი და ინგლისელი ინტერვენტების თარეში, თავდადებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მუშათა კლასის ძლევამოსილ იერიშებს ცარიზმის ბურჯებზე, ხოლო შემდეგ მენშევიკური მთავრობისა და ინტერვენტების წინააღმდეგ სათავეში ედგნენ და წარმართავდნენ ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელები იოსებ სტალინი, საშა წულუკიძე, ლადო კეცხოველი სტეფანე შაუმიანი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, სერგო ორჯონიკიძე, ალიოშა ჯაფარიძე და მრავალი სხვები.


თბილისის ხედი

ფოტო თ. არჩვაძის

საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1921 წლის თებერვალში გამარჯვებით დაგვირგვინდა. 25 თებერვალს თბილისის თავზე აფრიალდა წითელი დროშა. აქედან დაიწყო თბილისის, ისე როგორც მთელი საქართველოს, ცხოვრებაში განახლებისა და ზრდის დიადი ეპოქა, ამ ეპოქაში, რომელიც ოთხათეულ წელსაც კი არ შეადგენს, თბილისმა განვლო ზრდისა და აყვავების გიგანტური გზა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობად მიიღო იმპერიალისტური ომისა და მენშევიზმის ბატონობის წლებში ნახევრად დანგრეული ქალაქი, სადაც ოდნავ ბჟუტავდა მრეწველობის ცალკეული კერები, მოშლილი იყო კომუნალური მეურნეობის ყველა უბანი, მძვინვარებდა სპეკულაცია და შიმშილობა. თბილისის მშრომელები ამ სიძნელეებს არ შეუშინდნენ. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით, მათ წარმატებით გადაჭრეს ქალაქის აღდგენის, ზრდის, სოციალისტური რეკონსტრუქციის ურთულესი ამოცანები და სულ მალე თბილისს სახე შეუცვალეს, ჩვენი ეპოქის ლამაზ, კეთილმოწყობილ ქალაქად აქციეს.

მხოლოდ რამდენიმე ციფრი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი ზრდა და კეთილმოწყობა განიცადა ჩვენმა დედაქალაქმა. რევოლუციამდელ თბილისში თითზე ჩამოსათვლელი იყო მსხვილი საწარმონი. ახლა თბილისში 1928 მსხვილი და წვრილი საწარმოა. 1956 წელს თბილისის მრეწველობამ გამოუშვა 9.970 მილიონი მანეთის პროდუქცია. 1957 წელს თბილისის წარმოების დონემ 50-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის წარმოების დონეს. ამჟამად თბილისში ელექტროენერგიის მოხმარება 400-ჯერ მეტია რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით. წყლის სულადობრივი ნორმა დღეღამეში ახლა 300 ლიტრს აღემატება, მაშინ, როცა იგი 1921 წელს 40 ლიტრს შეადგენდა. თბილისში მენშევიკური მთავრობის ხანაში ტრამვაის 33 ვაგონი მუშაობდა, დღეს ქალაქის მოსახლეობას მომსახურებას უწევს ტრამვაის 289 ვაგონი, 108 ტროლეიბუსი, 240 ავტობუსი და ხუთასამდე მსუბუქი ავტომანქანა «ტაქსი». თბილისის საბინაო ფონდი 500 ათას კვ. მეტრს აღემატება. თბილისს რევოლუციამდე 53 ექიმი ემსახურებოდა. ამჟამად მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას 4,731 ექიმი, მუშაობს 45 სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, 34 პოლიკლინიკა. თბილისში 173 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, 12 უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერებათა აკადემია, ათობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისს ემსახურება 34 კინოთეატრი, 50-ზე მეტი კლუბი და კულტურის სახლი, 12 მუზეუმი, 350-ზე მეტი მასობრივი სამეცნიერო, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკა, რადიო და ტელეცენტრი, ათეულობით სასპორტო მოედანი. თბილისის მწვანე ნარგავთა საერთო ფართობი 365 ჰექტარს შეადგენს, რევოლუციამდე იგი 24 ჰექტარს არ აღემატებოდა. თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის ფართობი ახლა 6320 ჰექტარია, რევოლუციამდე კი მხოლოდ 700 ჰექტარი იყო.

წინათ მიუვალი, ჭუჭყიანი მტკვარი ახლა გრანიტის აკვანშია ჩაწვენილი. მისი სანაპირო უმშვენიერეს ხეივნად გადაიქცა.

ქალაქის ცენტრი და გარეუბანი ერთნაირად ლამაზი და საცხოვრებლად მოსახერხებელია მუშისა და ინტელიგენტისათვის. თვალს იტაცებს ფართო, სწორი ქუჩები, რომელთაც დამყურებს ეკლარის, ბოლნისისა და ქვემის ძვირფასი ქვებით ეროვნულ სტილზე ნაგები მრავალსართულიანი შენობები. კოპწიაობენ თბილისის ახალი კვარტალები — ვაკე და საბურთალო, ღრმაღელე და ნავთლუღი, [illegible] დაფარული ქალაქის შემოგარენი და [illegible]სის ზღვა.

თბილისი მდიდარი ქართული მუსიკალური კულტურის ცენტრია, სახელგანთქმული თეატრების, მხატვრების, კინოსტუდიის ქალაქი. თბილისში მოღვაწეობენ მთელს ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მწერლები და პოეტები. თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებში და ლაბორატორიებში მუშავდება დიდმნიშვნელოვანი პრობლემები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომი წინსვლისათვის. თბილისი ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალური სოლიდარობის ქალაქია, თბილისელებს ფასდაუდები წვლილი შეაქვთ კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

გაჰყურებ ჩვენი ქალაქის შორეულ წარსულს, მძიმე ბრძოლებსა და შეუპოვარ შრომაში გამოვლილ მის გზას, და გიხარია, რომ ახლა, ვიდრე ოდესმე, მძლავრად და რიტმულად სცემს მისი მაჯა. სოციალიზმის დიადმა ეპოქამ თბილისს შემატა ჭაბუკური ენერგია. მისი ბედნიერი მომავალი მთელი საქართველოს ბედნიერი მომავალია.

ა. ხურცულაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



საბურთალო—ახალი საცხოვრებელი სახლი

# თბილისი

სულით და გულით ვულოცავ ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ მკითხველებს სახელოვანი იუბილარის — საქართველოს დედაქალაქის 1500 წლისთავს.

თბილისთან არის დაკავშირებული ჩემი ბავშვობის დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი. თბილისის ზეცამ და ვარსკვლავებმა შთამაგონეს ასტრონომიის სიყვარული. და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოცი წელია მოსკოვში ვცხოვრობ, თბილისი მაინც იყო და იქნება ჩემთვის ყველაზე ახლობელი, ყველაზე მშობლიური ქალაქი.

თბილისში ჩამოსულს თავი შინ მგონია და ყოველი ჩამოსვლისას სიხარულით ვრწმუნდები, რომ მიუხედავად წელთა სიმრავლისა, კი არ ბერდება—ახალგაზრდავდება ჩემი საყვარელი ქალაქი.

მე განსაკუთრებით მსიამოვნებს ქართველ პოეტთა ლექსების კითხვა, თბილისში გადაღებული ფილმების ყურება; მახარებს საქართველოს მშრომელების წარმატებები, სიამაყით მავსებს ის, რომ ქართველი ასტრონომები საინტერესო დაკვირვებებს აწარმოებენ და ძვირფას ცნობებს გვაწვდიან დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შესახებ.

რა კარგია, როცა სიცოცხლე ჩქეფს შენს მშობლიურ ქალაქში, როცა ხედავ, რა ხალისით აშენებენ ახალ ცხოვრებას ჩვენი(?) ქალაქის მცხოვრებლებ...

ალა მასევიჩი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

# დღეგრძელობა შენ, დიდებამოსილო იუბილარო

თბილისის ათასხუთასი წლისთავზე წერილის დასაწერად ენციკლოპედიაში დავაპირე ჩახედვა, მინდოდა ერთხელ კიდევ გამეხსენებინა ამ ძველისძველი ქალაქის ისტორია, მაგრამ წიგნთსაცავის კართან მისული შინაგანმა ხმამ შემაჩერა. რა საჭიროა სიგელ-გუჯრები. ენციკლოპედია იმან იკითხოს, ვინც მხოლოდ წიგნებით იცნობს თბილისს, მე კი, ჩვენ სომხებმა კი...

განგებამ ჩვენი სახით უბედური იღბლის მეზობელი არგუნა ქართველებს. ამას გარდა, ისტორიის ნებასურვილით ეს მეზობელი მეტად საშიშარ უბანში ცხოვრობდა დიდი შარაგზის პირას. მგლებისა და ყაჩაღების ხშირი თავდასხმა ყოფას უმწარებდა ისედაც სვეგამწარებულ მეზობელს. თავს დატეხილი უეცარი უბედურების, გაჭირვების ან ავადმყოფობის დროს ყოველთვის უახლოეს მეზობელს დაუკაკუნებ კარზე. მას სთხოვ შველასა და დახმარებას. ასევე ვიყავით ჩვენც, როცა უცხოელი მომხვდურნი სახლში შემოგვეჭრებოდნენ, ცეცხლსა და მახვილს მისცემდნენ ჩვენს ბაღსა და ყანას, დახოცავდნენ ან ტყვედ წაასხამდნენ ქალებსა და ბავშვებს. ჩვენ დარბეულნი ყოველთვის კარზე მივადგებოდით უახლოეს მეზობელს და იგიც, როგორი გვიანი და უკუნეთი ღამეც არ უნდა ყოფილიყო, კარს გაგვიღებდა. შეგვიფარებდა, ძმურად დაგვეხმარებოდა, რადგან თვითონაც ბედისაგან დატანჯული, ჩვენში ყოველთვის თავის ბედის თანაზიარსა და ერთგულ მეგობარს, თავის ძმასა და მშველელს ხედავდა.

აბა, შეეკითხეთ ქალარა თბილისის ავლაბარსა და ხარფუხს ან სხვა უბნების ძველისძველ სახლებს. კითხეთ ცასთან მობაასე გუმბათებით თავმორთულ სომხურ ეკლესიებს, ნერსესიანთა და გაიანეს სასწავლებლის ფუძემყარ შენობებს, ჰკითხეთ სომეხი კაცის სულიერი ცხოვრების უტყვ მოწმე-ძეგლებსა და იგავმიუწვდომელ ქმნილებებს, ჰკითხეთ და ისინი გიამბობენ, თუ როგორ შემოეხიზნა მამულწართმეული და ფუძემოშლილი ხალხი ამ ძველისძველ ქალაქს, როგორ აიგო სომეხმა კაცმა სახლი აგურ-აგურ ქართულ მიწაზე, როგორ შენდებოდნენ ეკლესიები და სკოლები, როგორ ეყრებოდა საფუძველი სომეხი ხალხის მრავალწახნაგოვან ეროვნულ ცხოვრებას, და როცა გაივლით თბილისის რომელიმე ძველ უბანს, ჩაუვლით სურბ გევორქის ეკლესიას და საიათნოვას საფლავს, თვალში გეცემათ საიათნოვას ქვაზე წარწერილი სიტყვები. „სიყვარულით მოვიდა, მახვილით წავიდა.“ ეკლესიის დაისრული ქვები მოწმენი არიან თუ როგორი ნგრევით და ზარით მოადგა თბილისს ალამაჰმადხანი 1795 წელს, თუ როგორ დაეცა გულგანგმირული სიყვარულის უბადლო მომღერალი საიათნოვა ამ ეკლესიის კარიბჭესთან, მაგრამ ქალაქმა ქედი მაინც არ მოუხარა სისხლისმსმელ მტარვალს. გეტყვიან, რომ თავისებურად უყვარდა უკვდავ აშუღს ეს წმინდა ქალაქი და სიკვდილიც თავისებური ხვდა წილად. წარმოშობით სომეხი საიათნოვა თბილისის შვილი იყო. ქართული სამეფო კარის მომღერალი რამდენიმე ენაზე მღეროდა, მაგრამ თანაბარი სიძლიერით და ერთი ალმოდებული გულით უმღეროდა ძმობასა და სიყვარულს. იგი თავისი ცხოვრებით ანთებული კელაპტარი იყო სომეხი და ქართველი ხალხების სულიერი ძმობის, ერთობისა და ნათესაობის ტაძარში. საიათნოვა მოწამეობრივი სიკვდილით მოკვდადა, ეს რა თქმა უნდა, ასე მოხდებოდა, რადგან, როცა მტერი საქართველოს მახვილს მოუქნევდა, ქართველს გვერდით ამოუდგებოდა სომეხიც. იარაღასხმული ებრძოდა მომხვდურს, სამშობლო მიწასავით იცავდა ქართულ მიწას.

თბილისი მამულდაკარგული ხალხისათვის სულიერი სამშობლო იყო. აქ სცემდა მისი გული და მაჯა. აქ ცხოვრობდნენ და იღწვოდნენ ჩვენი დიდებული მწერლები და მოღვაწენი: რაფი, სუნდუკიანი, თუმანიანი, შირვანზადე, ისააკიანი. ამ ქალაქში შეიქმნა აღმოსავლეთის სომხობის საზოგადოებრივი აზროვნება, პრესა, თეატრი, ხელოვნება. თბილისი წმიდათა-წმიდაა ჩვენთვის. ძვირფასია ჩვენთვის ყოველი საფლავი და ყველა ადგილი, მოგონება თუ ხსოვნა, სახლი თუ ქუჩა. აი, თბილისური სახლის ერთ-ერთი ოთახი. დილიდან გვიან ღამემდე, საწერ მაგიდაზე თავდახრილი ზის რაფი და წერს. იგი ვერც იმას ამჩნევს, რომ ჭიქა-ჭიქაზე იცლება ყავა, ვერც იმას გრძნობს, რომ ოთახში თამბაქოს ბოლისაგან სუნთქვა ჭირს და თვალები ეწვის, რადგან სომეხი ხალხის დამარცხებათა და გამარჯვებების ქამთაღმწერელი თავისი ხალხის აღორძინების იმედებით ქარგავს თავის ნაწერებს. მტკვრის ტკბილად მოდუდუნე ტალღებს ალბად ისევ ახსოვთ მეთევზე პეპოს სიმღერის ჰანგები. ჩაივლი ბაზარში და გგონია, აი ახლა წაგავლებს ხელს კალთაში და ბაზაზ არტემას დუქნისაკენ მიგაზიდებს პატრონის გამონაცვალი ტანსაცმლის ძონძებში გამოხვეული, სახე ჩამოსანთლული და შეშინებული გიქორი, გგონია. აი ახლა დაგიძახებს ბიჭუნა: «აქეთ მობრძანდით, აქეთ»...

და ახლა, როცა დიდი ოქტომბრის შემდეგ სომეხი ხალხი კვლავ მამულის პატრონი გახდა, როცა ჩვენცა გვაქვს ამოდსანაზავი დედაქალაქი—ერევანი, თბილისს ვიხსენებთ მადლიერებით, სიყვარულით და იმ მსუბუქი ნაღველით, რომელსაც განიცდის უკვე დაოჯახებული ადამიანი მშობლიური, ძველი სახლის მიმართ.

მიიღე გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები ქალარით დამშვენებულო ქალაქო, შენი სიყრმის შვილებისაგან ყოველთვის კეთილი სიტყვით მოსაგონარო.

დაე, მარად ასეთი ბედნიერი და მხიარული იყოს სიმამაცისა და თავისუფლების, რაინდობის მაგალითის მიმცემი, სიმღერის და სიხარულის საბუდარი—თბილისი, უფრო აყვავდეს, უფრო დამშვენდეს, ნუ დაელევა სახლების ჭერქვეშ ლხინი და სიმღერა. მარად ბრწყინავდეს მთაწმინდის თავზე ნათურების ოქროს გვირგვინი, მთაწმინდა მარად ქართული გულგაშლილობით ძმობისა და სიხარულის სუფრაზე იწვევდეს ყველას, ვინც კი მეგობრულად და წმინდა გულით შემოაღებს ძველისძველი ქალაქის სტუმართმოყვარე კარებს.

პოეტი **სილვა კაპუტიკიანი**
ერევანი



მთაწმინდა. ფოტო თ. არჩვაძის

# თბილისი

ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ რედაქცია ყველა თავისი მკითხველის სახელით გულწრფელად მიესალმება ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ მკითხველებს სახელოვანი თარიღის—საქართველოს დედაქალაქის ათასხუთასი წლისთავის გამო.

ქართველ მეგობრებთან ერთად ჩვენ გვიყვარს ეს უძველესი მზიური ქალაქი, რომელიც გარდაიქმნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და გახდა ქართველი ხალხის კულტურის, ეკონომიკისა და სახელმწიფოებრიობის შეუჩერებელი განვითარების ცენტრი. ჩვენ კარგად გვახსოვს თბილისის პროლეტარიატის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები, მათი აქტიური ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ თბილისში ქართველ მუშებთან ერთად იბრძოდნენ და რევოლუციური ბრძოლის სკოლას გადიოდნენ რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების შვილები.

საქართველოს დედაქალაქმა სახელი გაითქვა თავისი წარმოების ნოვატორებით, გამოჩენილი მეცნიერებით, მწერლებით, პოეტებით, კომპოზიტორებით, მხატვრებით, მუსიკოსებით, მსახიობებით.

ვუსურვებთ ჩვენს ქართველ დებს—თბილისის მცხოვრებლებს—ბედნიერ ცხოვრებას და ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“
რედაქცია.

მთავარი რედაქტორი მ. ოვსიანიკოვა

# გზა თბილისისაკენ



მთები... მთები.. ნისლმოხვეული, თავდათოვლილი გოლიათები. მხარდამხარ მდგარნი, ერთმანეთზე გადაგრეხილნი, თვალსაწიერამდე გაწოლილნი, ცის თაღებამდე ატყორცნილნი, მთები, სადაც ღრუბლები იბადებიან და გრუხუნებენ ზვავები, სადაც ნისლებში ელავს და სჭექავს და ყივიან თვალგამჭრიალი არწივები, სადაც კლდის ქიმზე გადმომდგარი ჯიხვი მოელის მზის გაღვიძებას...

მთები... მთები...

მხოლოდ ერთ ადგილს გაურღვევიათ მკერდი ამ ბუმბერაზებს, თითქოს ზღაპრულ დევკაცს დაუკრავს მათთვის მახვილი და გზა უტევიათ თავიანთ კალთაშივე დაბადებული მდინარისათვის, რომელიც ერთი მტკაველი სიგანის ვიწროებაში ზათქითა და ზარით მოჰქუხს.

დარ-ი-ალანი, ალანთა კარი, ოსთა კარი, ასე უწოდეს სპარსელებმა ამ ვიწროებას, ალბათ იმიტომ, რომ მის მახლობლად ოსნი ცხოვრობდნენ. მაგრამ ერთი კი ცხადი არის; რომ იმთავითვე დარიალი ქართველ მეფეებს ჰქონდათ ჩაკეტილი და მხოლოდ მოყვარეს ძალუძდა მაშინ ამ კლდეკარის ბჭეზე გადმოსვლა.

და აი, ამ კლდეკარზე გავლით თბილისისაკენ მოემართება სწორედ ის გზა, რომელიც ოდითგანვე ცნობილია საქართველოს სამხედრო გზად, და რომელსაც დასაბამიდან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის ეკონომიურად, კულტურულად, პოლიტიკურად.

რას არ გაივლის, რას არ იხილავს ამ გზით მომავალი მგზავრი. უფსკრულების პირს დაგრეხილი ეს გზა დიდხანს ასდევს უღელტეხილის რძისფერ ბურუსებს, სადაც სიცივით კრიჭა იკვრება, ეშვება დაღმა ჩანჩქერებს და მყინვარებს შორის, იჭრება თვალწარმტაც ხეობაში, სადაც მთებიდან ირმები ეშვებიან მჟავე წყაროებზე დასაწაფებლად, გაჰყვება ჭალებს, ბაღებს, ვენახებს, გაივაკებს მზით მოოქროვილ მუხნარეებში და ძვირფასი სტუმრით მოადგება პირმშვენიერი თბილისის ზღუდეს.

ეს გზა ოდითგანვე სცოდნიათ ქართველებს, და არა მარტო ქართველებს, ამ გზის შესახებ გაგონილი ჰქონდა უძველეს დროის თითქმის ყველა ხალხს. ჯერ კიდევ სტრაბონი სწერდა მასზე, რომ «ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებიდან მიდის ძნელი სამი დღის გზა შემართებზე, მას მისდევს ვიწრო ხეობა მდინარე არაგვის გასწვრივ, რომლის გავლას ოთხი დღე სჭირდება. გზის ბოლოს მოუდგომელი ციხეები იცავს».

მაგრამ ეს გზა მარტო გზა როდია, იგი ქართველი ხალხის ისტორიის თავისებური კალეიდოსკოპია. ყოველი ქვა, ყოველი მტკაველი ამ გზისა ჩვენი წარსულის შუქჩრდილებით არის განათებული და დადაღული. ამ გზით იჭრებოდნენ უხსოვარ დროს ჩრდილოეთის მომთაბარე ტომები ამიერკავკასიასა და წინა აზიაში, ამ გზით მიემართებოდნენ ქართველი მეფეები თავიანთ დიდ მეზობელთან დასამოყვრებლად, ამ გზით ეზიარებოდნენ პროგრესულ რუსულ აზროვნებას, ევროპულ ცივილიზაციას დაუდგრომელი «თერგდალეულები», ამ გზით მოეშურებოდნენ თბილისისაკენ ჩვენი მეგობრები და გულშემატკივარნი, რომ გაეზიარებიათ ჩვენი მწუხარება და ლხენა, რომ შორს წაეღოთ მერე ამბავი ქართველი ხალხის ვაჟკაცობის, სიბრძნისა და სიმშვენიერის შესახებ.

საქართველოს სამხედრო გზა იმ უდიდესი სიყვარულის გზა და ხიდია, რომელმაც საშვილიშვილოდ გაიდგა ფესვი ჩვენი ხალხის და დიდი რუსი ხალხის გულებში.

ამ გზით ეწვია თბილისს არტურ ლაისტი, დიუმა-მამა.

ამ გზით მოვიდა საქართველოს დედაქალაქში დაუდგრომელი და დევნილი რუსული გენია ალექსანდრე პუშკინი.

საქართველოს სილამაზემ მოაჯადოვა ჯვრის უღელტეხილიდან დაშვებული პოეტი.

უეცარი გადასვლა მრისხანე კავკასიდან მომხიბვლელ საქართველოსაკენ აღმაფრთოვანებელია,—წერდა დიდი პოეტი,—სამხრეთის ჰაერი უცებ მოესალბუნება მგზავრს. ღუდოს მთის სიმაღლიდან წინ იშლება კაიშაურის ველი მისი დასახლებული კლდეებით, მისი ბაღებით, მისი ნათელი არაგვით, ვერცხლის ზონარივით რომ იკლაკნება.

ანანურთან, სადაც შეუპოვარის მთაზე ამაყად წამომართულა გვიანი შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი ძვირფასი ძეგლი, მთის მრისხანე ბატონების არაგვის ერისთავების ციხესიმაგრე, გზა მარჯვნივ უხვევდა და დუშეთზე გავლით მოდიოდა თბილისისაკენ. გზის ეს ნაწილი ახლაც შემონახულია და მას აქ «პუშკინის გზას» უწოდებენ.

ქალაქი ხალხით მრავალი მეჩვენა,—წერდა შემდეგ თბილისის შესახებ პუშკინი,—აზიურმა ნაგებობებმა და ბაზარმა კიშინევი მომაგონეს... სახლები დაბლებია, ბანიანები, ჩრდილოეთ ნაწილში აღმართულია ევროპული არქიტექტურის შენობები, მათ ახლოს იქმნება სწორი მოედნები... პოეტი განსაკუთრებით თბილისის აბანოებით მოხიბლულა, „არც რუსეთში, არც თურქეთში არასოდეს არ შევხვედრივარ თბილისურ აბანოებზე უფრო მდიდრულ რამესო.» იგი ხოტბას ასხამდა თბილისურ იარაღსაც, რომელიც «ძვირად ფასობს მთელს აღმოსავლეთში».

ამ გზით მოემართებოდნენ თბილისისაკენ მეფის მიერ დასაღუპავად განწირული რუსეთის უკეთესი შვილები—ალექსანდრე ოდოევსკი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, მ. ლერმონტოვი, ა გრიბოედოვი, მაგრამ რა სიყვარულით, რა აღფრთოვანებით ეგებებოდა მათ ქართველი ხალხი, ქართველი მასპინძლობა და გულისძგერა!

აქ, თავისუფლებისმოყვარე ქართველთ გულებში დიდხანს ღვიოდა დეკაბრისტების მეამბოხე სული, აქ გაითხარა უდროოდ ბევრი მათგანის საფლავი, აქ ჩაიხუტა ქართულმა მიწამ მისი მოთაყვანე გრიბოედოვი და ქართვლის მშვენიერმა ასულმა ნინომ აქ დაუდგა მას თავისი უმწიკვლო სიყვარულის უკვდავი ძეგლი.

არზრუმიდან თბილისში დაბრუნებულმა პუშკინმა ინახულა გრიბოედოვის ჯერ კიდევ მიწაშეუმშრალი საფლავი, რომლის წინაც...—წერს ამ ამბის მომსწრე ნ. პოტოვსკი,—მუხლები მოიდრიკა და დიდხანს იყო თავჩაქინდრული, ხოლო როცა წამოდგა, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა.

ეს იყო 1829 წელს. რვა წლის შემდეგ თბილისში მყოფმა ბესტუჟევ-მარლინსკიმ პუშკინის დაღუპვის ამბავი რომ შეიტყო, გრიბოედოვის საფლავს მიაშურა პანაშვიდის გადასახდელად. როცა მღვდელი ამღერდა «დახოცილ შვილთა ალექსანდრეს და ალექსანდრესათვის»,—ლამის ქვითინმა დამახრჩო,—სწერდა ბესტუჟევი მშობლებს...

სამი თვის შემდეგ კი ალექსანდრე ბესტუჟევ მარლინსკი ადლერთან ბრძოლაში აჩეხეს ცებელდინელებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენიმე თვის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა ციმბირიდან ნიჟნეგოროდის დრაგუნთა პოლკში მიმავალი მეორე დეკაბრისტი, პოეტი ალექსანდრე ოდოევსკი, რომელმაც იმავე დღეს ინახულა გრიბოედოვის საფლავი.

«ოდოევსკის ტიფლისში მივუსწარი,—იგონებს დეკაბრისტი ა. როზენი, — იგი ხშირად დადიოდა თავისი მეგობრის გრიბოედოვის საფლავზე, უმღეროდა მის ხსოვნას, უმღეროდა საქართველოს ომახიანი ლექსებით...»

სწორედ აქ, თბილისში მიესალმა ფანჯარაზე გადმომდგარი საშა ოდოევსკი მწარე სარკაზმით მეფე ნიკოლოზს გლადიატორთა ბოლმანარევი სიტყვებით:

«სალამი, კეისარო იმპერატორო,
სასიკვდილოდ განწირულნი გესალმებიან შენ!»

ორიოდე წლის შემდეგ ოდოევსკი დაიღუპა შავი ზღვის ნაპირებზე მოწყობილ ექსპედიციაში და მაშინ ლერმონტოვმა მის ხსოვნას მიუძღვნა თავისი ერთერთი ყველაზე გულითადი ლექსი.

ეს როდი იყო ბედისწერა, ეს იყო უცილობელი ბოლო ყველა იმისათვის, ვისაც ნიკოლოზი «მოწყალედ» უცვლიდა ციმბირში გადასახლებას ჯარისკაცულ სამსახურზე «თბილ ციმბირში», როგორც მაშინ უწოდებდნენ კავკასიას გადმოსახლებული დეკაბრისტები. გულდათუთქული ეგებებოდა მათ თბილისი, თავს ევლებოდა შორიდან გადმოხვეწილ ამ უცხო შვილებს, რომლებიც ცდილობდნენ მისი კალთის ქვეშ დროებით მაინც დაევიწყათ განვლილი ჭირი და ვარამი.

მაგრამ ეს ზღაპრული მხარე მარტო დევნილთა თავშესაფარი როდი იყო, ან მარტო თავის სიტურფით როდი ატკბობდა მოსულთ. იგი აფორიაქებდა მათს სულს, გონებას, აღელვებდა და აღაგზნებდა მათს გრძნობებს, მათს გულს. მრავალი საუცხოო ლექსი და პოემა უძღვნა პუშკინმა თვალწარმტაც საქართველოს და მის თოვლიან ქვის დარაჯებს. აქ პოვეს თავიანთი შემოქმედებითი ცეცხლი გრიბოედოვმა, რუბინშტეინმა, ჩაიკოვსკიმ, ლ. ტოლსტოიმ, აქ დაიბადა მაქსიმ გორკის პირველი სიმღერები და აქ, მტკვრის პირას, პირველად აგუგუნდა დაუგეშავი მომღერლის, შემდეგ კი მსოფლიო საკვირველების შალიაპინის ბანი. საქართველო და კავკასია იყო რუსული პოეზიის დემონის, მიხეილ ლერმონტოვის ზეშთაგონების წყარო და მის კალთებზედაც დაასრულა მან თავისი მშფოთვარე, ჯანყიანი ცხოვრება.

ლერმონტოვსაც გამოუვლია გზა დარიალიდან თბილისამდე და მისი ყოველი მოსახვევი, ყოველი გოჯი საკუთარი გულისათვის დაუწინდებია. სწორედ ამ გზაზე იპოვა პოეტმა თავისი ცეცხლოვანი «დემონიც».

1837 წელს თბილისისაკენ გამომგზავრებულ ლერმონტოვს გზაზე მოუსმენია თქმულება ყაზბეგის კალთაზე ნაგები თამარის სასახლე-ტაძრისა და მშვენიერი ნინოსადმი მთის ავი სულის, გუდოს უიღბლო სიყვარულის შესახებ. და ეს ლეგენდები თავისი უკვდავი პოემის უკანასკნელი ვარიანტის საფუძვლად გაუხდია. ამ ადგილებში ლერმონტოვს უნახავს მიუვალი გამოქვაბულებიც, სადაც, ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, თითქოს მიჯაჭვული ყოფილა ქართული პრომეთე—მთის სული ამირანი. პოეტი იცნობდა ამ თქმულებასაც. იგი მასაც იხსენებს «დემონში».

თბილისამდე ლერმონტოვი გაჩერებულა მცხეთაში — საქართველოს უძველეს დედაქალაქში, რომელიც ჩვენს ერამდე ათასი წლით ადრე დაარსებულა. აქ მას გულდასმით დაუთვალიერებია XI საუკუნის ქართული არქიტექტურული იშვიათობა, სვეტიცხოველის ტაძარი, უნახავს არაგვსგაღმიდან გადმომდგარი ჯვრის მონასტერიც, VII საუკუნის ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი და აქ ნახულსა და გაგონილზე აუგია შემდეგ თავისი მეორე მგზნებარე პოემა «მწირი». თბილისში ყოფნისას ლერმონტოვი ახლო გასცნობია აქაურ მოწინავე საზოგადოებას და მოხიბლულა მისით. «კარგი ბიჭები აქ ბევრნი არიან,—წერდა პოეტი რაევსკის,—განსაკუთრებით ტიფლისში არიან ძალიან წესიერი ადამიანები».

1851 წლის ბოლოს თბილისს სწვევია გენიალური რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი. საქართველოს სამხედრო გზაზე გამოვლისას, ტოლსტოი რამდენიმე ხანს ყაზბეგში გაჩერებულა, წმინდა სამების ტაძარი დაუთვალიერებია. თბილისში ჩამოსვლისას მწერალს მაშინვე წერილი მიუწერია ერთ-ერთი ნათესავისათვის და მისთვის თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარებია. «ტიფლისი მეტად ცივილიზებული ქალაქია, ძალიან ბაძავს პეტერბურგს, და ეს მას კარგად გამოუდის. საზოგადოება რჩეული და საკმაოდ ხალხმრავალია. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლებითაც ვსარგებლობ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებას ჩემი ხელმოკლეობა მაძლევს»... ამავე წერილში ტოლსტოი ახსენებს სამუშაოს, რომლითაც იგი «გატაცებული» ყოფილა. საქმე ეხებოდა მის მოთხრობას «ბავშვობა», რომელიც მწერალმა ძირითადად თბილისში დაწერა. ტოლსტოიმ თბილისშივე ინახულა შამილის სახელგანთქმული ნაიბი ჰაჯი-მურატი; გაეცნო მის ეპოპეას და შემდეგ ყოველი-



ვე ეს საუცხოვოდ გამოიყენა თავისი დიდებული მოთხრობის შესაქმნელად.

ტოლსტოის ჯერ დაწყებულიც არ ჰქონდა «ჰაჯი-მურატის» წერა, როცა დარიალი გამოიარა და თბილისისაკენ გამოეშურა დიდი რუსი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი, სამხედრო გზით მოგზაურობისას ბევრ ქართულ სიმღერას გასცნობია იგი, მოუჯადოვებია მათს უებრო მელოდიურობასა და გასაოცარ პოლიფონიას. მრავალიც ჩაუწერია. ხოლო ერთი მათგანი—«იავნანა» გამოიყენა კიდეც თავის ცნობილ ბალეტში «შჩელკუნჩიკი».

ხშირად იგონებდა საქართველოს და მის წარმტაც დედაქალაქს დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი. აქ, თბილისში დაწერა მან თავისი პირველი ნაწარმოები «მაკარ ჩუდრა».

—მე არასოდეს არ მავიწყდება,—წერდა იგი,—რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელსაც აი უკვე ოთხი ათეული წელია ვადგივარ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიულმა სირბილემ



—სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რომელმაც მაწანწალა ლიტერატორად გადამაქცია.

—მე ორი სამშობლო მაქვს,—ამბობდა ხოლმე გორკი,—რუსეთი, რომელმაც მშობა და საქართველო, რომელმაც ჩემში მწერალი დაბადაო.

ეს შეეძლო ეთქვა ყველა დიდ ხელოვანსა და შემოქმედს, რომელმაც თუნდ ერთხელ მაინც ინახულა ზვავებისა და ნარინჯების ეს გასაოცარი მხარე.

საქართველოში მოხვედრა ახლა სხვა გზებითაც შეიძლება, მაგრამ სამხედრო გზა მაინც რჩება მათ შორის ულამაზესად, უმოკლესად, უმნიშვნელოვანესად.

ლამაზ კეთილმოწყობილ შარაგზად მიიკლაკნება დღეს იგი მთებსა და ბაღნარებს შორის. სადღა არის ძველი, დამტვერილი საზიდრები, ათი დღის მგზავრობით ილაჯგაწყვეტილი ცხენები, ადამიანები და ზარბაზნიანი ჯარისკაცების პირქუში ბადრაგი. ახლა აქ ასობით და ათასობით დაჰქრიან კომფორტაბელური მსუბუქი მანქანები, ავტობუსები, საბარგო ავტომანქანები, სახე იცვალეს მთებმაც, ხეობებმაც. ძველი ციხეების, ტაძრების და მონასტრების გვერდით გამოიჭიმნენ სკოლების, კლუბების, საავადმყოფოების, ელექტროსადგურების თვალწარმტაცი შენობები, საცხოვრებელი სახლები. ელექტრობით გაჩირაღდნებულ მთის სოფლებში დიდი ხანია რადიოც შეჭრილა და ახლა ტელეხედვაც იკიდებს ფეხს. სამხედრო გზა ისევ იცვლება, ლამაზდება. ჯვრის უღელტეხილზე ახლაც გუგუნებენ ბულდოზერები, თხრიან, ასწორებენ, აფართოებენ შარას, რომ თბილისისაკენ წამოსულ სტუმარს გაუადვილდეს ამ თეთრჩალმიანი გოლიათების გადმოლახვა. უამრავი ტურისტი და მოგზაური მოეშურება აქეთ ყოველწლიურად მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან.

ქინვალთან შემთხვევით შევეყარეთ უნგრელ ჟურნალისტებს. თბილისიდან დარიალამდე ასულიყვნენ და უკან დაბრუნებულნი ახლა ბარისახოსკენ აპირებდნენ გამგზავრებას. სტუმრებს სიტყვები არ ჰყოფნიდათ თავიანთი აღტაცების გამოსახატავად.

«მე არასოდეს არ მინახავს არც ამ ქვეყნის, არც მისი დედაქალაქის, არც ამ საოცარი გზის მსგავსი რამ,—გვითხრა ერთმა მათგანმა, რობერტ ჰორლინგმა,—ეს ნამდვილად ზღაპრული მხარეა, სადაც კაცს ყველაფერი ავიწყდება. მე აქ ვნახე სიძველის ბევრი საკვირველება. ვნახე ბოდორნის გამოქვაბულები ბულაჩაურთან, სადაც თურმე ომიანობის დროს ხალხი იხიზნებოდა და სადაც თემურლენგი მათ გამოსადევნად ზემოდან კალათებით უშვებდა ჯარს. ვნახე წიწამურიც, აქ ოდესღაც თურმე უძველესი ქალაქი ყოფილა გაშენებული, ბერძნების მიერ სევსამორად წოდებული. ვნახე ახალიც, საბჭოურიც, და ვიმეორებ, ეს ნამდვილად ზღაპრული ქვეყანაა, ზღაპრული თავისი სიახლეებითაც.»

იმავე დღეს ფასანაურთან არაგვის პირას საბანაოდ გამოფენილი ხალხი დავინახეთ. გერმანელი ტურისტები იყვნენ. დიდის ამბით მოგვესალმნენ და მუსაიფი გაგვიბეს.

«თქვენი ქვეყნის დავიწყება არ შეიძლება,—გვითხრა დრეზდენელმა სტუდენტმა ქალიშვილმა ედელტრაიოლ ფრანკმა,—განსაკუთრებით ამ მთებისა და ხეობების. ეს გზა ხომ ნამდვილი ისტორიული მარგალიტების მძივია, რომელიც არაჩვეულებრივი ბრილიანტით—თბილისით მთავრდება. ერთი სიტყვით, მე რომ აქ ვცხოვრობდე, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიდი.»

მტერი ბევრი გვყავდა, მაგრამ არც სტუმარი და მოკეთე მოგვკლებია, მოყვარეს დანატრებული ქართველი კაცი სულს არ იშურებდა სამშვიდობოდ მოსულისათვის. დროთა მანძილზე მეგობრების რიცხვმა იმატა ახალი ცხოვრებით წელგამართულებს კიდევ უფრო მეტი კეთილისმოსურნე გაგვიჩნდა ქვეყნად, და რაც დრო გავა, მით უფრო მეტი მეგობარი შეგვეძინება. კვლავაც გვესტუმრებიან ჩვენს ტურფა მხარეში უფრო მეტნი, უფრო მრავალნი, საიდან სად მოვლენ და ჩვენთან ერთად იზეიმებენ ჩვენს გამარჯვებებს, ჩვენს ლხენას. სიხარულით ეგებებოდა მათ ოდითვე ქართველი ხალხი, სიხარულით ვეგებებით ახლაც—

მობრძანდით, გვნახეთ, სტუმარი ღვთისაა!

**ა. კუხრაშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაქარია ფალიაშვილი

(ზ. ფალიაშვილის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო)

მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი იყო ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილის მოღვაწეობა სამუსიკო სარბიელზე. უჩვეულო ენერგიით, საოცარი შრომისუნარიანობით და შეუნელებელი ენთუზიაზმით ემსახურებოდა იგი ქართული ეროვნული მუსიკის განვითარების საქმეს. ის იყო ხალხური საუნჯის შემკრებ-დამმუშავებელი, პედაგოგი, დირიჟორი, საზოგადო მოღვაწე და განსაკუთრებით, მაღალნიჭიერი კომპოზიტორი. მან მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართულ პროფესიულ სამუსიკო ხელოვნებას, ეროვნულ საკომპოზიტორო სკოლას და მძლავრი ბიძგი მისცა მის შემდგომ წინსვლას.

ზაქარია ფალიაშვილი შევიდა მუსიკის ისტორიაში როგორც ქართული მუსიკის კლასიკოსი. თავისი უკვდავი საოპერო ქმნილებებით მან ფართოდ გაუთქვა სახელი მშობლიურ მუსიკას, რამაც, თავის მხრივ, უკვდავყო თვით ავტორი, დაუდგა მას ხელთუქმნელი ძეგლი.

1871 წლის 4 აგვისტოს ქუთაისის ქართველი კათოლიკების ეკლესიის მნათეს პეტრე ივანეს-ძე ფალიაშვილის ოჯახს შეეძინა მესამე შვილი. ეს იყო მომავალი დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი. საგულისხმოა, რომ პეტრე ფალიაშვილის მრავალწევრიან ოჯახში (ცამეტი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი) ზაქარიას გარდა, აღიზარდა კიდევ ოთხი მუსიკოსი—ორი დირიჟორი ივანე და პოლიკარპე, ოპერის მოკარნახე ვანო და კომპოზიტორი და პროფესორი ლევანი.

პირველდაწყებითი განათლება ზ. ფალიაშვილმა ქუთაისში მიიღო. აქვე მიიქცია ყურადღება ზაქარიას მუსიკალურმა სმენამ, წკრიალა ხმამ და მალე ჩარიცხეს იგი საეკლესიო გუნდში.

1887 წელს ფალიაშვილის ოჯახი გადმოვიდა თბილისში, რამაც ზაქარიას წინ გადაუშალა მისი თვითმყოფი ნიჭის განვითარების დიდი პერსპექტივები და ჭაბუკი მუსიკოსიც ხარბად დაეწაფა სწავლას.

1895 წელს ზ. ფალიაშვილი შევიდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, რომელიც ოთხი წლის შემდეგ წარმატებით დაამთავრა. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა მის მიერ ჩამოყალიბებულ ქალ-ვაჟთა გუნდს და მართავდა კონცერტებს მუშათა უბნებში, აგრეთვე მონაწილეობდა საქველმოქმედო საღამო-კონცერტებზე.

სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ძმების—პოლიკარპეს და ანტონის, აგრეთვე მეგობრების დახმარებით ზაქარიამ ავჭალის აუდიტორიასთან ოპერის მოყვარულთა დასი შექმნა, რომელიც კვირაში ერთ წარმოდგენას მართავდა. რეპერტუარს შეადგენდა ცნობილი რუსული და ევროპული ოპერები—„ბორის გოდუნოვი“, „ალი“, „ფაუსტი“, „სევილიელი დალაქი“ და სხვ.

1900 წელს ზ. ფალიაშვილი გაიგზავნა მოსკოვის კონსერვატორიაში, სადაც კომპოზიციის კურსი ცნობილი რუსი კომპოზიტორისა და პოლიფონიური მუსიკის დიდი სპეციალისტის ს. ი. ტანეევის კლასში გაიარა.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1903 წელს ზ. ფალიაშვილი დაბრუნდა თბილისში, სადაც მთელი ძალით გამოავლინა თავისი ნიჭი და უდიდესი ენერგია, ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებას მოახმარა მოსკოვში მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

მაშინ საქართველოში არ იყვნენ მაღალკვალიფიციური მუსიკოსები და ამის გამო ზაქარიას მოუხდა მრავალმხრივი მოღვაწეობა. იგი ერთსა და იმავე დროს პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა სამუსიკო სასწავლებელში, ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, დირიჟორობდა ოპერის თეატრში; დირექტორი იყო ფილარმონიის სამუსიკო სკოლისა, ამუშავებდა ხალხურ სიმღერებს, სთხზავდა მუსიკალურ ნაწარმოებებსა და დიდ დროს ანდომებდა საზოგადო მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ზ. ფალიაშვილი კომპოზიტორს დიდ მოთხოვნილებას უყენებდა. იგი ბუნებრივი ნიჭის გარდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „გადამეტებული მუშაობით“ მიღებულ გამოცდილებას და ეროვნული ხალხური სიმღერების შეკრება-შესწავლას, რის შედეგადაც მუსიკოსს შეეძლო დაეძლია ისეთი „რთული და ძნელი საგანი“ როგორიც კომპოზიციაა. ამიტომ იყო, რომ დიდი ხალისით შეუდგა შემკრებლობითს მუშაობას. იგი წლების განმავლობაში მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში—სვანეთში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, ეცნობოდა ხალხის ყოფას, წესჩვეულებას, მათთან დაკავშირებულ სიმღერებს, რომელსაც დიდი სიყვარულით ისმენდა და ფონოგრაფზე იწერდა.

ექსპედიციიდან ზ. ფალიაშვილი მუდამ ღრმა შთაბეჭდილებით ბრუნდებოდა და თავის აზრსა და შეხედულებას ქართულ ხალხურ სიმღერებზე საზოგადოებას პრესის საშუალებით უზიარებდა. ხალხში სიარულმა კომპოზიტორს დიდი გამოცდილება და ცოდნა შესძინა, ფანტაზია გაუმდიდრა და ახალი შემოქმედებითი პერსპექტივები დაუსახა.

„...ამ შვიდი წლის განმავლობაში,—წერდა ზ. ფალიაშვილი,—ბევრი სიმღერა გავიგონე და ჩავიწერე კიდეც და დავრწმუნდი, რომ ქართველები ერთ ნიჭიერ ხალხად უნდა ჩაითვალოს სამუსიკო ხელოვნებაში. ...მუსიკოსები რომ გაირჯებოდნენ, შეისწავლიდნენ სახალხო სიმღერების თავისებურებას და მეცნიერულად გამოიკვლევდნენ მათ, შეიძლება დამდგარიყო მუსიკის თეორიის ახალი კანონები და სამუსიკო ხელოვნებასაც ახალი ხანა დასდგომოდა...“

ზ. ფალიაშვილის მიერ შედგენილი ორი კრებული ნათელ წარმოდგენას იძლევა ქართული სიმღერის მაღალმხატვრულ ღირსებებზე.

ქართველი ხალხისათვის ზ. ფალიაშვილის მოღვაწეობიდან ყველაზე ძვირფასი და ფასდაუდებელი მაინც მისი შემოქმედებაა. აქ იგი გვევლინება ჭეშმარიტ ხელოვნად, რომელმაც თავიდანვე აუღო ალღო რუსული და ევროპული კლასიკური მუსიკის დემოკრატიულ პრინციპებს. სრულყოფილი ნაწარმოების შექმნის აუცილებელ პირობად მას ხალხური სიმღერისა და მუსიკალური გამომსახველობის მდიდარ საშუალებათა ჰარმონიული შერწყმა მიაჩნდა. ამ ჯანსაღ პოზიციებიდან დაიწყო ზ. ფალიაშვილმა თავისი შემოქმედებითი მუშაობა და დიდ გამარჯვებასაც მიაღწია—შექმნა მუსიკალურ-სცენური ხელოვნების ისეთი იშვიათი ნიმუშები, როგორიცაა „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. ორივე ოპერაში ხალხის სული ტრიალებს, მისი მუსიკა ხალხური ინტონაციებით მეტყველებს. უძვირფასესი ხალხური საუნჯე კომპოზიტორმა მაღალი ოსტატობით გაამდიდრა, გააღრმავა, განავრცო და ისევ ხალხს დაუბრუნა. ამიტომაა, რომ ეს ოპერები თავიდანვე ხალხის საყვარელ ქმნილებად გადაიქცა.

„აბესალომ და ეთერი“ აგებულია ქართული ხალხური ეპოსის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშის „ეთერის“ სიუჟეტზე, რომელშიც ასახულია სიყვარულისა და ერთგულებისათვის თავგანწირვის იდეა. ამ კეთილშობილ თემაზე კომპოზიტორმა მონუმენტური ნაწარმოები შექმნა.

ხალხური თქმულების შესაბამისად, ოპერაში აბესალომისა და ეთერის ტრაგედია ეპიკურ ტონებშია გადაწყვეტილი, და საერთოდ მთელი შინაარსი დარბაისლური თხრობით არის გადმოცემული. მისი მუსიკის ღრმა ეროვნულ სტილს მსმენელი შესავლიდანვე გრძნობს და ოპერის განვითარების მანძილზე თანდათან იხიბლება.

ასეთივე მაღალმხატვრული ღირსებით ხასიათდება მისი ლირიკულ-დრამატული ოპერა „დაისი“, რომელშიც „აბესალომის“ ლეგენდარული გმირებისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია კონკრეტულ-რეალური ცხოვრებიდან აღებული ცოცხალი ადამიანები თავიანთი ლხინითა და ჭირით.

„დაისის“ ფაქიზი მუსიკა აღსავსეა გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგენდა აბესალომ და ეთერისა

თბილი ლირიზმით და დრამატული განვითარებით. ამ ოპერაში ავტორი თავის მუსიკალურ ენას ამდიდრებს ქალაქური მუსიკალური ფოლკლორით, რომელიც სოფლურ სიმღერასთან სინთეზშია მოცემული, რითაც სტილის მთლიანობა დაცულია.

„აბესალომ და ეთერთან“ შედარებით „დაისის“ ჰარმონიული ენა და ორკესტრობის ხერხები უფრო მოქნილი, სხარტი და ფერადოვანია. ვოკალური პარტიის გარდა ამ ოპერაში დიდ ყურადღებას იმსახურებს საორკესტრო ეპიზოდები—უვერტიურა, ოსტატობით დაწერილი პირველი და მეორე აქტის ცეკვები და მესამე აქტის ინტერმეცო, რომლებიც სიმფონიურ განვითარებას განიცდიან და ამგვარად ქართული სიმფონიური აზროვნების ჩასახვის ნიმუშებს წარმოადგენენ.

ზ. ფალიაშვილი ავტორია აგრეთვე მესამე ოპერისა—„ლატავრა“, სიმღერა-რომანსებისა და კანტატისა, რომელიც მიუძღვნა ოქტომბრის 10 წლისთავს.

საგულისხმოა, რომ ზ. ფალიაშვილი ქართული ოპერის შექმნაში ვანო სარაჯიშვილს განსაკუთრებულ როლს მიაწერდა. დიდი კომპოზიტორი დიდი მომღერლის ხსოვნას ასე გამოეხმაურა: „აღარა გვყავს ვანო სარაჯიშვილი! მოკვდა დიდი ხელოვანი, დიდი მომღერალი... ის იყო ერთი იმ იდეალთაგანი, რომელიც თავისი მომხიბლავი სიმღერით ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორებს სულს გვიდგამდა და გვაქეზებდა ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში. ის იყო ერთი იმ ბედნიერ მიზეზთაგანი, რომელმაც ჩვენში ესე მოულოდნელად, ერთბაშად თავი წამოაყოფინა იმისთანა რთულ და უმაღლეს მუსიკალურ ფორმას ვოკალური ხელოვნებისა, როგორიც არის ოპერა“. მართლაც ვ. სარაჯიშვილის მომაჯადოებელმა ხმამ დიდად შეუწყო ხელი ქართული ოპერების გამარჯვებას.

აღსანიშნავია, რომ 1937 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნების დეკადაზე „აბესალომ და ეთერმა“ და „დაისმა“ მსმენელთა ფართო მასა დაატყვევა. ზ. ფალიაშვილს უწოდეს „ქართველი გლინკა“ და ამით ხაზი გაუსვეს მის ნაწარმოებთა გენიალობას.

ასეთივე გამარჯვება ხვდა „დაისს“ წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

ის დიდი ღვაწლი, რომელიც ზაქარია ფალიაშვილმა ქართული ეროვნული მუსიკის განვითარებას დასდო, მადლიერმა ხალხმა დაუფასა მას. თუმც 25 წელი გავიდა ფალიაშვილის გარდაცვალებიდან, „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ შემქმნელი თავის მუსიკასთან ერთად საუკუნეებში იცოცხლებს.

პროფესორი **გრიგოლ ჩხიკვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედნიერი კერა

თქვენს წინაშეა ბროლი, გამჭვირვალე, თვალის მომჭრელი. მაგრამ, აბა, სცადეთ მისი ტილოზე გადატანა, შეგრჩებათ მარტოოდენ მუქი ხაზები, რაღაც პირობითი ჩარჩო, საგნის მთელი მომხიბვლელობა კი დაიკარგება.

ის, რის შესახებაც მსურს მოგითხროთ, თავისი ბუნებით ძლიერ ჰგავს ბროლს, მასავით ბრწყინვალეა და უჩრდილო. ამიტომ მის დასახატად იძულებული ვარ მონახაზები გავავლო, მკითხველს კი ვთხოვ, ამ ხაზებს შორის ელვარე ბროლი იგულისხმოს.

★

სრულ ექვს საათზე რაიკომის მდივანი ახალთახალი მანქანით მოსრიალდა. ჩვენ უნდა წავსულიყავით წაღვერის პიონერთა ბანაკში, სადაც დანიშნული იყო შეხვედრა კომკავშირის ძველი გვარდიის წარმომადგენლებთან. მე ჭალარა თანამგზავრებს ველოდი, მანქანაში კი დავინახე ახალგაზრდა ქალი, რომელსაც კალთაში ხუთიოდე თვის ბიჭუნა ეწვა, იქვე თეთრეულის ფუთა იდო, მის გვერდით ფაფით სავსე ბოთლი.

მალე მეორე მანქანამ საპატიო სტუმრები მოიყვანა. ჩვენ დავიძარით.

ქალი სანდომიანი, სათნო ღიმილით გვაშუქებს, კენჭა ბიჭი თავისთავთან საუბრობს, მანქანა მტკვრის სანაპიროზე მისრიალებს, მერე ჩარხისწყალს აჰყვება. მზე ჩადის, გზაზე ეცემიან ახოვანი ჩრდილები და ხერგავენ გასავალს. ზევით, ფერდობზე, მიიკლაკნება ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზა.

რამდენ სათუთ მოგონებას იწვევს ეს მოლიანდაგებული ბილიკი.

დიდი თოვლი იდო ამ ტყეებში, როცა ახალბედა ექიმი პირველად ჩამოვიდა წაღვერში სამუშაოდ. სათხილამურო სეზონი იდგა. ჯუჯა მატარებელი, რომლითაც ქალიშვილი ყოველდღე მგზავრობდა, ხალხით, თამბაქოს სუნითა და ნესტით პირთამდე იყო სავსე. ახალგაზრდა ქალი არც ცდილობდა ვაგონში შესულიყო, იქვე ბაქანზე რჩებოდა, სადაც გამყინავი ქარი უბერავდა, ისმოდა ერთმანეთში შერეული კივილი ორთქმავლის, ტურისა და ჭოტის, და თვალებში იხედებოდა მთის ღამე, დათოვლილი ტყეები. მკერდქვეშ კი მომავლის მოლოდინში თბილად ძგერდა ფაქიზი გული. მისი პირველი პაციენტები პატარა გოგო-ბიჭები იყვნენ, ბავშვთა სანატორიუმის მხიარული სტუმრები. მოვიდოდნენ ლამაზ დეიდასთან (ასე ეძახდნენ ისინი თავის საყვარელ ექიმს), ბარტყუბივით აღებდნენ პირებს, რათა ეჩვენებინათ რომელი კბილი სტკიოდათ, მაგრამ როგორც კი ექიმი იარაღს მოჰკიდებდა ხელს, იწყებდნენ ტირილს, კუმავდნენ პირს. ზოგიერთი გარბოდა კიდეც.

ხშირად მთელი დღე უძებნია გაქცეული ბალღი, ფერებით მოუყვანია, დაუყვავებია, მერე მთელი ცოდნა და ოსტატობა მოუხმარებია და როდესაც დარცხვენილი მშიშარა იტყოდა: იფ, რა ადვილი ყოფილაო, ლამარას მიაჩნდა, რომ ის სავსებით გამოხატავდა მის საკუთარ აზრსაც. ასე იქცნენ ბავშვები მის საიმდღისო სიხარულად, საიმდღისო ფიქრად და ზრუნვად. პატარებით გარშემორტყმული, ბუნების უბიწო წიაღში



ფოტო მ. როსტიაშვილის

შეყუჟული, იგი იყო მხიარული თავის სიმშვიდეში. ეს იყო ზამთარში, როცა ამ ტყეებში დიდი თოვლი იდო, გამყინავი ქარი უბერავდა, ბუხრებიდან ადიოდა ჯაფარას ფრთებივით მოლურჯო ბოლი.

მაგრამ დადნა თოვლი, გამოიხედა იონჯამ, იაჟუჟუნამ, ეს პაწაწინა გუჯარულა, ახლა რომ რიყეზე ფეხაკრეფით მიიპარება, გაზონზროხდა, გაშეშდა და აწყვეტილი ლოდივით აბუხუნებული დაუყვა ხეობას. სამუშაოდან წამოსულმა ქალიშვილმა ის იყო გადაჭრა ხიდი, რომ წინ კომკავშირის რაიკომის მდივანი შემოეყარა.

— მთვარესავით ივსებით ქალაქიდან ჩამოსული დედისერთები,—პირდაპირ მიახალა მიშა გელაშვილმა,—თავს არ იწუხებთ ჩვენი საქმით, თითქოს ეს შაბათობები მარტო აქაურებისათვის ეწყობოდეს.

— როდის გაგექეცით? თუ არა ვიყავი, იმიტომ, რომ არ ვიცოდი.

— ახლა ხომ იცით! ხვალ პარკში აუზს ვთხრით, ჰოდა, ვნახოთ მოხვალთ თუ არა...

მეორე დღეს უთენია გამოცხადდა ლამარა დვალიშვილი ბარით ხელში კომკავშირულ შაბათობაზე. გელაშვილმა გუნებაში ჩაიცინა. მადლიანი ქალი ჩანს, მშრომელი, დამჯერე...

მერე კი მოიჭრა სიყვარული ისევე უეცრად, როგორც ლანქერებისაგან ადიდებული გუჯარულა, როგორც მერცხალი ვარდობის თვეში. გათავდა მშვიდი მხიარულება სულისა და ცხადი გახდა, როგორც ჰკლებიათ ერთმანეთი იმ დროს, როცა არ უყვარდათ.

გელაშვილმა თითქმის ცარიელი კედლები დაახვედრა ახალგაზრდა ქალს, იგი კი სწორედ ამან მოიყვანა აღტაცებაში. — „ნატვრა თუ ახდეს, ასეთიო, — იღიმებოდა პატარძალი, — მუდამ გავურბოდი ნებიერი ვაჟიშვილების გაწყობილი სახლკარის დაპატრონებას, ვოცნებობდი, ჩემს ოჯახში ყველაფერი ჩემეული ყოფილიყო: ჩემი შერჩეული და შეძენილიო“. ამ დღიდან დაიწყო: თეფშები, ქვაბები, თასები, კოვზები, საწური, სახეხი, ჩაიდანი და ათასი წვრილმანი. მაგიდა, სკამები, კარადები, საწოლები... ნელ-ნელა აივსო ოჯახი. ბოლოს ეს ბიჭიც შეეძინათ. ბიჭს მანქანა

მოჰყვა. ჩასხდებიან, ჩაისვამენ ხუთი თვის გიას, ხან ზუგარეთში ამოჰყოფენ თავს, დედასთან, ხან ძველ მეგობრებს მოინახულებენ. ხშირად, კვირა დღეს ბაკურიანის ლამაზ სანახებს მოივლიან, მის საოცარ სუფთა, სურნელოვან ჰაერს ისუნთქავენ. ჩაღდება ცეცხლი, ხელდახელ ითლება შამფურები, წყლიანი კასრიდან ამოჰყავთ ცოცხალი კალმახები.

როცა კომკავშირი რაიმე ახალ ღონისძიებას ატარებს, ლამარას სახლში ვერავინ გააჩერებს. თუ დედამთილია, ხომ კარგი, თუ არა და გაუმზადებს გიას საგზალს, გამოკრავს თეთრეულს, ჩაისვამს პაწიას და გასწევენ. ეს ცეროდენაც ისე გაიწრთვნა, რომ ყველგან ჩინებულად გრძნობს თავს: გზებზე, მანქანაში, თავშეყრის ადგილებში. აი, ახლაც, ტიკტიკით დაგორებულა დედის მუხლებზე და იღიმება.

მარჯვედ მართავს მიშა გელაშვილი საჭეს. რად შეეშლება? 16 წლის უმამო ბიჭი იყო, შუშის ქარხანაში რომ ავტომძღოლობდა, დააქროლებდა რახრახა ავტომობილს და მღეროდა მთისას, ბარისას, სიხარულისას, მწუხარებისას. ქვეყანა ღონიერი იყო, ბიჭი—გონიერი. ჯერ საშუალო დაამთავრა, მერე უნივერსიტეტი. ახლა ისევ ამ გზებზეა გაკრული. შინ ხშირად გვიან ბრუნდება, მტვრიანი, ტანსაცმელდაჭმუჭნილი, დაღლილი. სახლი განათებული ხვდება. ლამარა ელოდება. ებრალება ქმარს ცოლი: სამსახური, ბავშვი, სამზარეულო, სარეცხი, საუთოო და დამატებით—დაგვიანებული ქმრის ლოდინი. მაინც გაივსო და დამშვენდა. ეს ალბად, მისი მადლიანი ხასიათის გამო: ყველაფერს გულგაღებული, გაღიმებული ეგებება.

ჩვენ უკვე წაღვერის პიონერთა ბანაკში ვართ. საპატიო სტუმრების შესახვედრად წითელყელსახვევიანები ხაზზე ეწყობიან, იწყება მისალმება.

ამასობაში ბინდი წვება, გია მანქანაში იძინებს, ჩვენ კი მივდივართ პიონერულ კარნავალზე დასასწრებლად.

მეორე დილით კვლავ კომკავშირის რაიკომში ვარ. რაიკომის მდივანი მარტო მხვდება, ყურმილში ელაპარაკება ვიღაცას: სანატორიუმია? შენ ხარ? ამაღამ დამაგვიანდება, კრებაა ტაბაწყურში კომკავშირის 40 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ჰო, გახარო, საბავშვო ეტლი მოგვივიდა ქუთაისიდან, დედაშენს გამოუგზავნია, ცისფერია, საბარგო განყოფილებაც აქვს...

იღიმება ბედნიერი კაცი, იქ კი, ხაზის მეორე ბოლოში, სწორედ ამნაირად უთუოდ ლამარაც იღიმება.

ბედნიერება ბროლს ჰგავს: გამჭვირვალეა, უჩრდილო, ბრწყინვალე, მაგრამ მყიფეც. ერთი თვალის დახამხამებაში შეიძლება ნამსხვრევებად იქცეს. ამიტომ ადამიანი უნდა გაუფრთხილდეს მას, ძალიან უნდა გაუფრთხილდეს.

ეთერ ხახვაძე.



# შეხვედრები ამერიკაში

ჩვენი თვითმფრინავი, რომელშიც საბჭოთა კავშირის სტუდენტი ახალგაზრდობის დელეგაცია იმყოფება, ნიუ-იორკის აეროდრომზე დაეშვა. შეგვეგებნენ ჩვენი პირველი მასპინძლები—წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა სამოგზაურო ბიუროსი, რომლის მიწვევით ჩავედით ამერიკაში, და ახალგაზრდა ქალთა და ვაჟთა ქრისტიანული ასოციაციის ხელმძღვანელები. იქვე, აეროდრომიდან მოეწყო ტელეგადაცემა. ტელემაყურებლებს ჩვენ გავაცანით ჩვენი ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. ეს იყო ჩვენი პირველი „პირისპირი" შეხვედრა ნიუ-იორკის მოსახლეობასთან. გადაცემის დამთავრების შემდეგ ძლივს გავარღვიეთ ცნობისმოყვარეთა, ფოტოკორესპონდენტთა და ჟურნალისტთა წრე და ნიუ-იორკის ცენტრალური ქუჩების გავლით ჩვენთვის განკუთვნილი ბინებისკენ გავემართეთ.

პირველი „სურპრიზი" იყო, ასე ვთქვათ, „უსაფრთხოებაზე" ზრუნვა, რაც ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაციის წევრებმა ჩვენდამი გამოიჩინეს—ჩვენი დელეგაციის წევრი ქალები და ვაჟები გაგვაცალკევეს და სხვადასხვა ქუჩაზე დაგვაბინავეს.

ცხრა დღე დავყავით ნიუ-იორკში—ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური კაპიტალის ამ ცენტრში და ბევრი რამ, რაც წიგნებში მქონდა ამოკითხული, საკუთარი თვალით ვიხილე. ცნობილ ცათამბჯენებთან ერთად, ადამიანს აქ აოცებს რეკლამების სიუხვე, „მიუზიკ-ჰოლების", რესტორნებისა და სასტუმროების სიჭრელე.

განსაკუთრებით აჭრელებულია რეკლამებით ცნობილი „ბროდვეი"—ქუჩა, სადაც განლაგებულია უდიდესი სავაჭრო ფირმები, მსხვილი საფინანსო დაწესებულებანი და იმ მაგნატთა საყვარელი საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც მონობაში ჰყავთ მილიონობით მშრომელი როგორც თავის „საკუთარ" ქვეყანაში, აგრეთვე მის გარეთ.

ნიუ-იორკის გარეუბნებში ჩვენ ვნახეთ მუშათა და ზანგთა კვარტალები, რამაც თვალნათლივ დაგვანახვა ის დიდი ხლვარი სიღარიბესა და სიმდიდრეს შორის, ის დიდი კონტრასტი, რითაც ასე „მდიდარია" კაპიტალის სამყარო საერთოდ და კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატები.

ნიუ-იორკის მუსიკალურ-დრამატულ თეატრში მე დავესწარი სპექტაკლს, უჩვენებდნენ ამერიკული დრამატურგიის „შედევრს". ეს იყო ნიმუში ამერიკული განგსტერული ფილოსოფიის—მკვლელობებითა და დასახიჩრებებით.

ვიჯექი თეატრში და მაგონდებოდა საბჭოთა მწერლის ი. ერენბურგის სიტყვები, რომლებიც დაახლოებით ასე აღვიდგინე მაშინ მეხსიერებაში:

რა ინტერესით გასცქერის საბჭოთა ადამიანი შორეულ ამერიკას, ზოგს ჯეკ ლონდონი იზიდავს, ზოგს კარგი ფილმები, ზოგს კიდევ ავტომობილთა მოტორები. შორიდან ამერიკა ბევრად უფრო მომხიბლავად გამოიყურება, ვიდრე ახლოდან. და ეს არც გასაკვირია. სთარგმნიან დრაიზერს და არა იმ ხნედაცემულ ავტორებს, რომლებიც მილიონობით ტირაჟ ჟურნალებსავსებენ, ეკრანზე ხედავენ ჩარლი ჩაპლინსა და არა მონათმფლობელს თავისი მათრახით. ამერიკელთა ექსპორტია ავტომობილი და არა გონების სიჩლუნგე მენსტრიტიდან, რომლის სულიერი სამყარო ავტომობილზე კი არა, მტვერსაწმენდზეც უფრო პრიმიტიულია...

ნიუ-იორკში ჩვენ დავათვალიერეთ თითქმის ყველა ღირსშესანიშნაობანი: ვნახეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა, კოლუმბიის უძველესი უნივერსიტეტი. ხელოვნების მუზეუმში, ანუ „მეტროპოლიტენში" ყოფნისას, სადაც გამოფენილი იყო თანამედროვე ამერიკული სახვითი ხელოვნების ნიმუშები, გავიცანი სახელგანთქმული ამერიკელი მხატვარი ნორმან კარტონი. მას გამოთხოვებისას ვაჩუქე ლადო გუდიაშვილის ნამუშევართა საიუბილეო გამოცემა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ჩიკაგოში გადმომცეს მისი წერილი: განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქართველ გოგონას, რომელმაც მაჩუქა წიგნი „ლადო გუდიაშვილი"—წერდა იგი,—თქვენი გამგზავრების შემდეგ გულდასმით დავათვალიერე ეს წიგნი და ენის უცოდინარობის მიუხედავად თვითეულ ნაწარმოებში ამოვიკითხე ის, რითაც სუნთქავდა ბატონი ავტორი ნაწარმოების შექმნისას. მე აღმაფრთოვანა აქამდე ჩემთვის უცნობი მხატვრის შემოქმედებამ. ამიერიდან ეს წიგნი ჩემს ბიბლიოთეკას დაამშვენებს...

მრავალი პიკნიკებისა და შეხვედრების შემდეგ ნიუ-იორკში ჩვენი დელეგაცია ორ ნაწილად გაიყო. მე მოვხვდი ჩიკაგოში მიმავალ ჯგუფში, მეორე ჯგუფი გაემგზავრა აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში—ახალ ინგლისში.

ნიუ-იორკის ცათამბჯენებისა და მომქანცველი ხმაურის შემდეგ მწვანეში ჩაფლულმა ჩიკაგომ, რომელიც მიჩიგანის თვალწარმტაცი ტბის ნაპირებზეა გაშლილი, წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. ვიყავით უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტებმა გვიჩვენეს საკუთარი ძალებით დადგმული სპექტაკლი, რომელიც მიმდინარეობდა ღია ცის ქვეშ, უდეკორაციოდ.

ჩიკაგოში ვნახეთ ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონკურსის ლაურეატი ვან კლიბერნი, იგი დიდი სიყვარულით შეგვხვდა, განსაკუთრებით გაახარა ჩვენი დელეგაციის წევრის, მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტის სერგეი დორენსკისთან შეხვედრამ, რომელსაც კონკურსის დროს დაუმეგობრდა მოსკოვში. ყოველივე ამაზე ვან კლიბერნმა მეტად გულთბილად ილაპარაკა ტელევიზორში გამოსვლისას. იგი გვერდიდან არ იშორებდა რუს მეგობარს.

— მოსკოვი ჩემი მეორე სამშობლოა,— გვითხრა მან და მიგვიპატიჟა ჩიკაგოს მწვანე თეატრში გამართულ თავის კონცერტზე.

ჩიკაგოდან აიოვას შტატის ქალაქ დემოინში გავემგზავრეთ. ეს შტატი განთქმულია სოფლის მეურნეობით. დამამახსოვრდა ერთი აქაური შეხვედრა; ვახშამზე მიგვიწვიეს ფერმერებმა. ისინი ცოლებითა და ქალიშვილებით მოვიდნენ. ერთ-ერთი ფერმერის ქალიშვილმა გაცნობისას მითხრა: კერი მქვია, ალბად, თქვენთვის ძნელი იქნება ამ სახელის დამახსოვრებაო. როცა მე ვუპასუხე, რომ ეს სახელი ჩვენში საკმაოდ ცნობილია დრაიზერის ნაწარმოებითთქო, ქალიშვილმა გაიკვირვა, გამოირკვა, რომ მას არაფერი გაეგონა დრაიზერის შესახებ.—ალბად, კომუნისტია და ამიტომ არ ვიცნობო, — იმართლა თავი. საერთოდ, ვახშამზე მყოფ ფერმერთა შორის არავინ აღმოჩნდა დრაიზერის მცნობი. მხოლოდ ერთ ფერმერს მოაგონდა როგორღაც „ამერიკული ტრაგედია", მაგრამ იქვე დასძინა: ეს სულაც არ არის ამერიკელის ტრაგედია, ამერიკელს სხვა მიზნები აქვსო. როცა სიტყვა ჩამოვაგდეთ სამშობლოს სიყვარულზე, მან გულწრფელად ჩამოაყალიბა თავისი „ფილოსოფია": მე ყველაზე უფრო მიყვარს ჩემი თავი. რასაკვირველია, იმ ფულთან ერთად, რომელიც მაქვს და რომელსაც კიდევ მოველი. და თუ ფული არ მექნება, არც თავი მეყვარება. მიყვარს ცოლი, იმიტომ, რომ კარგია. რომ ასეთი არ იყოს, არც მეყვარება. სხვაზე მე არ ვფიქრობ და არც სხვა გრძნობა გამაჩნია. რაც შეეხება სამშობლოსათვის თავისგანწირვას, მასზე არც კი მიფიქრია. ჩემის აზრით, ეს სისულელეა.

და კიდევ ერთხელ მენიშნა ერენბურგის სიტყვები: მათი სულიერი სამყარო ავტომობილზე კი არა, მტვერსაწმენდზეც უფრო პრიმიტიულია...

დემოინიდან ქალაქ დენვორის (კოლორადოს შტატი) გავლით ჩავედით კალიფორნიის ქალაქ სან-ფრანცისკოში. აქ დიდხანს არ გავჩერებულვართ. კალიფორნიაში ურთიერთობა ძირითადად სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან გვქონდა. სტენფორდის მიწებზე აშენებულია ამერიკაში ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია მსოფლიო ლიტერატურის უნიკალური ნიმუშები. ბიბლიოთეკაში, ვნახე ქართული წიგნების თაროები: ნოე ჟორდანიას(?) ... 1927 წლის „მნათობის" ნომრები, ჟურნალი „მოამბე", მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის ი. დავითაშვილის ნაწარმოებები. აქვე ვნახე ლენინისა და სტალინის თხზულებათა ტომები, როგორც რუსულ, ასევე ინგლისურ ენებზე. კალიფორნიიდან კვლავ კოლორადოს შტატში დავბრუნდით. ვცხოვრობდით ტყეში პატარა სახლებში, რომელთა კედლები ნადირის ტყავით იყო დაფარული. მთელი ღამე ცეცხლი ენთო, არა გასათბობად, არამედ გარეული ნადირის დასაფრთხობად. რამდენიმე დღე ვიყავით დენვორში, კოლორადოს შტატის ცენტრალურ ქალაქში. დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენი დელეგაციის მიმართ დენვორის უნივერსიტეტის სტუდენტებმა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა შეხვედრა სტუდენტ ქალებთან. ქალთა საერთო საცხოვრებელში გამართულ ვახშამზე მე დამაყარეს შეკითხვები, რომელთა გულუბრყვილობამ ღიმილი მომგვარა. აი ამ შეკითხვების შინაარსი. არის თუ არა საბჭოთა კავშირში ქალთა საპარიკმახეროები? რატომ არ ხმარობენ საბჭოთა ქალები ნელსაცხებელსა და პარფიუმერიას ისე, როგორც ამერიკელი ქალები? ხდება თუ არა საბჭოთა კავშირში ქორწინება საკუთარი სურვილითა და სიყვარულით? არის თუ არა საბჭოთა კავშირში ქალთა ორგანიზაციები და იღებენ თუ არა ქალებს სამუშაოზე?

მე სრულიად არ მაკვირვებს ასეთი შეკითხვები. არც ის გამიკვირდებოდა, რომ ეკითხათ: რატომ არ იცვამენ თქვენი ქალები კაბებსო? ამის პასუხი მოსთხოვეთ ამერიკულ ბულვარულ პრესას.

საბჭოთა ქალებს ერთი წუთითაც არ შეშურდებათ პედიკურებიანი და ნეილონის საცვლებში გამოწყობილი ამერიკელი ქალბატონის—ბულვარული [illegible] ლის ბედი, რომელიც საბჭოთა კავშირზე საზიზღარ ჭორებს ავრცელებს, ხოლო საკუთარ „სახლში" ხოტბას ასხამს ზანგ ქალთა რასობრივ დისკრიმინაციას.

ბევრი რამ ვნახეთ ამერიკაში, ამ „ოქროს ეშმაკის" ქვეყანაში, სადაც ყოველივე ადამიანურს მქონებელი კლასები დოლარზე ახურდავებენ, სადაც კაპიტალისტური მაგნატები მართავენ ქვეყნის ბედს, სადაც უბრალო ადამიანებს თავს უტენიან სოციალიზმის ქვეყნების შესახებ ათასგვარი მონაჩმახით, გონებას უჩლუნგებენ ახალგაზრდებს აღზრდის ამერიკული სისტემით.

მაგრამ ამერიკაში ცოტა როდი არიან ადამიანები, რომლებმაც იციან სიმართლე ჩვენს ქვეყანაზე და რომლებსაც აშინებთ თავისი სამშობლოს, თავიანთი შვილების მომავალი, მრავლად არიან ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდები, რომლებიც გმობენ ამერიკის მმართველი წრეების აგრესიულ პოლიტიკას და სურთ მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრონ სხვა ქვეყნების ახალგაზრდებთან.

სამშობლოში ამერიკული შთაბეჭდილებებით დაბრუნებული კიდევ უფრო მძაფრად განვიცდი სიამაყის გრძნობას ჩვენი შემოქმედი, მშვიდობისმოყვარე და ჰუმანური საბჭოთა ხალხის, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობისათვის.

მადონა მგელაძე,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



# ვესილლია

ნარკვევი

ეს უკრაინული სიტყვაა, ქართულად ქორწინებას ნიშნავს.

მაგრამ, ვიდრე ქორწინებამდე მივიდოდეთ, ამბავი შორიდან უნდა დავიწყოთ:

იმ წლებში დიდი მოუსავლიანობა იყო უკრაინაში. შრომა, რომ იტყვიან, წყალში იყრებოდა. მიწა თესლის საზღაურსაც კი არ იძლეოდა. მოუსავლიანობამ დაბა ხაშივატოსაც დარია ხელი. ხაშივატო ხერსონის ოლქშია.

სიძნელეებს თუ სხვები უძლებდნენ, ახალგაზრდა სამისკოებიც როგორმე აიტანდნენ, და მერე იქნებოდა რაიმე საშველი, მშობლიურ კერას როგორ დატოვებდნენ. მაგრამ საერთო გაჭირვებას ავადმყოფობაც ზედ დაერთო. ფილტვების სისუსტეს უჩივოდა ოჯახის ახალგაზრდა უფროსი სამისკო.

— მიაყურე ერთი ამ ფილტვებს, ბიძია ოსტაპ!—მიმართა მან დაბის ექიმს,—სუნთქვა მიძნელდება ნამეტანი.

ოსტაპი, სამოქალაქო ომში ფერშლად ნამყოფი და თავად ქირვარამგამოვლილი, არ ეკუთვნოდა იმ ექიმების ჯგუფს, რომლებიც დათაფლული ენით აიმედებენ ავადმყოფს.

— არ გივარგა არაფრად. შებრუნდი, აბა, ზურგით. ისუნთქე, ღრმად...აჰ!

— ვიღუპებით, ექიმო, საშველი რამე არ იქნება?—ტირილით შეეხვეწა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჰყავდა ახუტებული. ბავშვს ძუძუზე მისძინებოდა.

ოსტაპს თითქოს არც გაუგონია. მორჩა გასინჯვას, შემოიყარა დოინჯი, თავითფეხებამდე აათვალ-ჩაათვალიერა ავადმყოფი.

— რამდენისა ხარ?

— ოცდაორისა, ბიძია ოსტაპ!

— გინდა იცოცხლო?

დაღონებულმა ახალგაზრდამ გადახედა ჯერ ცოლს, მერე დედის ძუძუსთან მიძინებულ შვილს, ჩაჩაშტერდა, თითქოს ამით თქვა: თუნდაც ამათი გულისთვისო.

— ჰო-და, თუ მალე გამოჯანმრთელება გინდა, აი,—გაიშვირა ოსტაპმა ხელი ფანჯრიდან სამხრეთისაკენ,—იარე, იარე ასე ქვევით. ბათუმი გაგიგონია? ბათუმთან ახლოს ქობულეთია, ზღვისა და მთის ჰავა. ერთხანს იცხოვრებ იქ, მოუვლი თავს და იქცევი ვეშაპად.

ოლექსას ცოტა ფული ჰქონდა ხელობით დაგროვილი ფეხსაცმელს აკერებდა დაბაში.

აიკრა ცოლქმარმა გუდანაბადი, დედამ საოუთად შეახვია საბანში თავისი ანატოლი, რომელიც ამ სახელის სიგრძეც არ იყო, და ახალგაზრდა ოჯახი გაუდგა გზას საქართველოსაკენ

ეს 1931 წლის გაზაფხულზე იყო.

ხერსონშჩინა ულამაზო კუთხე არ არის უკრაინაში—თეთრად შეფეთქილი სახლები ბაღებში, ბაღებს იქით დაცემული ველები ჯეჯილებით, გზები, რომლებიც არ იცი სად იწყება და სად თავდება, მდინარეები, რომლებიც არ იცი მიდის თუ დგას...საერთოდ, მშობლიური ყველაფერი ლამაზია.

მაგრამ ეს საქართველო რა ყოფ ლა, ღმერთო ჩემო!

ქობულეთი! აქეთ ზღვა—ხან მფრთონავი და მღელვარე, მდუმარე და მოლივლივე. იქით მთები—მწვანით მოსილი, აქოჩრილი, ცასთან თეთრი ღრუბლებით და ნისლით დამეგობრებული. მათ შორის სოფლები, სახლები მთის კალთებზე ბაღებში, ქარი რომ შეარხევს და მიმოწევს ფოთლების ფარდებს, მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან სახლები. ხალხია ისეთი... სალმიანი, არ გიცნობს და, გვერდით ისე არ ჩაგივლის ქუდი არ მოგიხადოს, «გამარჯობა» არ გითხრას.

— ეს პირველი სიტყვა იყო, მე და ნიურამ აქ რომ ვისწავლეთ,—ამბობს ოლექსა.

— «მშვიდობაც», —ჩაურთო ნიურამ, არა ისეთმა, ცხადია, როგორც ის ამ ოცდაშვიდი წლის წინათ იქნებოდა, მაგრამ ჩანს, ოდესღაც ლამაზმა, ნაზმა და ნატიფმა ქალმა, რომელიც ახლა ჭარმაგობისა და მოხუცობის მიჯნაზე დგას,—«დილამშვიდობისა», «საღამომშვიდობისა!..»

მაგრამ ჩვენ წინ გავუსწარით ამბავს:

ოლექსა არ იყო მხართეძოზე წამოწოლას ჩვეული... უსაქმოდ მას ვერასოდეს ვერ ნახავდით. დააბინავა ცოლშვილი თუ არა, მიმოიხედა ირგვლივ, რა საქმეს მოკიდებოდა. ბრეზენტის ერთ პატარა ფუთაში ხელსაწყოები ჰქონდა, ხელი—მარჯვე და «ოქროთი მოჭედილი», კარგი ხელოსანი იყო.

— გამარჯობა!—ახლადასწავლილი ქართულით მიესალმა იგი ერთ პატარა დარაბაში მუხის მრგვალ დაზგასთან ფეხსაცმელზე დახრილ ჭაღარა კაცს.

მან ახედა:

— გაგიმარჯოს, რუსო!

— რუსი არა, ხოხოლ, ხოხოლ!—ღიმილით უთხრა ოლექსამ და იქვე ჩაიმუხლა, — ჩემი ხელობაა...

— შენი ხელობა თუა, მოდი აგერ და იმუშავე,—შებრუნებული ხელით აისწორა ულვაშები,—თუ არ იზარმაცებ!

მერე დავინახავთ, ეს ეჭვი რა უსაფუძვლო იყო.

ახლა მადლიერების გრძნობით იგონებს ოლექსა იმ კეთილ ქართველ ხელოსანს. ჩავლეიშვილი ყოფილა გვარად.

შეამხანაგდნენ, ტკბილად, ძმურად დაიწყეს მუშაობა.

...რა იყო ის ფილტვების სისუსტე, რა იყო ის გაჭირვება. რაღაც სიზმარივით აგონდება ახლა ოლექსას, შინ დაბრუნებულს, დები ვეღარც კი იცნობდნენ ალბათ, ისე გამოჯანსაღდა. ნიურა მთლად მთვარესავით გაიბადრა, ანატოლიმაც ფეხი აიდგა. მაგრამ წასვლის დრომაც მოაწია, შემოდგომა იწურებოდა. წასვლა დროით სჯობდა, სანამ თოვლს დადებდა.

— გამოსამშვიდობებლად მოვედი, კოსტია, უნდა წავიდეთ!

— სად, ბიჭო, სად უნდა წახვიდეთ, არ გესმის, რომ იქ მოუსავლიანობაა?!

— ახლა აღარ უჭირთ, კოსტია. და მწერს, მთავრობამ დიდძალი ხორბალი შემოზიდაო. მეც ჯანსაღად ვარ, არაფერი მიჭირს.

— მე რომ გითხრა, დამიჯერე. თუ ჩემთან არ გინდა, აგერ, ნატანების საბჭოთა მეურნეობაში სჭირდებათ შენი ხელობის კაცი, წვერმაღალაში.

— ვიყოთ კიდევ ამ კეთილ ხალხში, ოლექსა,—ურჩია შინ ნიურამაც.

შეკრეს ბარგი ნატანებში გასაგზავნად, მაგრამ აქ თავს წაადგა ლადიკო მქავანაძე.

— შრომაში, კოოპერატივში გვჭირდება, ოლექსა, ოსტატი, წამოდი, არაფერს გაგიჭირვებთ.

— დავბინავდით შრომაში, — იგონებს ახლა ნიურა,—ეს ჩემი კაცი ყველგან მიღებული და პატივცემული შეიქნა, ყველამ დაიმეგობრა და შეიყვარა. მე შრომელ ქალებს მხარში ამოვუდექი, ჩემმა ანატოლიმაც ცუნცული დაიწყო. აი, ეგერ, გზის გაღმა რომ კარგი სახლია, იმ სახლში დავიდეთ ბუდე, პავლე ხომერიკის ოჯახში.

— გაუყოფელი ძმებივით ვიცხოვრეთ იქ სამი წელიწადი, —ამბობს ოლექსა.—ერთხმად მიგვიღეს სასოფლო-სამეურნეო არტელში. ნიურამ ჩაიში დაიწყო მუშაობა, მე ჩემს ხელობაზეც და სხვა საქმეებზეც. აი ამ სერზე, სადაც ახლა ეს სახლი გვიდგას, სამოსახლო ნაკვეთი მოგვცეს. აბა, დაიწყო «შაბათობები» სერზე ჯაგნარ-ეკლნარის ასაკაფავად. პირველი ბოძები პავლე ხომერიკმა ამოზიდა ურმით. იგი ახლაც უფროს შვილად მთვლის, ჩემს ანატოლის—შვილიშვილად. პირველი დგამ-ავეჯი და ჭურჭელი პავლეს ცოლმა დაალაგებინა ჩემს ცოლს, მიზიდავენ მეზობლები ზოგი ვენახის ნერგებს, ზოგი მანდარინისა და ფორთოხლისას, ზოგი ხურმისა და ატმისას. აი ამ ეზო-მიდამოში ბევრი ხეხილი და ვაზი, ბევრი ციტრუსი ჩემი კეთილი ქართველი მეზობლების სახელობაზე ხარობს.

გაჩაღდა უკრაინული ოჯახის კერა ქართულ სოფელში. ორი თვალი ხის სახლი გამართეს. აკრიახდნენ ნიურას მოშენებული ქათმები, აყიყინდნენ ბატები და იხვები, აზმუვლდა კოლმეურნეობის დახმარებით შეძენილი მეწველი ძროხა, გამართლდა ქობულეთში პირველად გაგონილი და დასწავლილი «გამარჯობა» და «მშვიდობა».

მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა სამისკოების ოჯახში, დაიწყო ომი. ოლექსამ სხვა შრომელ თანამოძმეებთან ერთად ფრონტს მიაშურა. ბრძოლით განვლო ფაშის-

ტების მიერ ოკუპირებული მშობლიური უკრაინის სოფლები და ქალაქები, ტყეები და ველები, გააღწია ევროპაში, იყო უნგრეთში, ბუდაპეშტში, დაიჭრა ბალატონთან. განკურნების შემდეგ აღმოსავლეთი პრუსია, ჩეხოსლოვაკია. აქ კი მძიმედ დაიჭრა საზენიტო ბატარეის ზემდეგი სამისკო. მარჯვენა მკლავსა და საქართველოში განკურნებულ ფილტვში გაუარა ფაშისტების ნაღმის ნამსხვრევებმა. ჯერ ერევანში მკურნალობდა, გაჯანსაღებული დაუბრუნდა თავის ოჯახს შრომაში. ნიურას კოლმეურნეობის დახმარებით ოჯახისათვის უქმრობა არ დაუტყობინებია. ანატოლიც მოზრდილი ბიჭუნა გამხდარა, სწავლობდა სკოლაში და დედას შველოდა კოლმეურნეობაში, სკოლიდან დაბრუნებული პატარა თამარი, უმცროსი სამისკოების ოჯახში, დედის დაბრუნებამდე სახლკარში დაფუსფუსებდა, დიასახლისობდა.

ომგადახდილ ოლექსას, სანამ თავის ეზოში შევიდოდა, გზად მეზობლები შემოეხვივნენ.

— ნუ გავაჩერებთ, შე კაცო, გავყვეთ თან,— გაისმოდა აქა-იქ.

მთელი საზეიმო პროცესია გაემართა სამისკოების სახლისაკენ.

— ნიურა, ანატოლ, თამარ! მოხადეთ თავი სამახარობლო ჭურს, მოგვყავს ოლექსა!—იყო ძახილი.

ეზოში რომ შევიდა, მამას პირველი შემოასკუპდა გახარებული თამარი. ნიურამ არ იცოდა რა ექნა—ეტირა თუ ეცინა. უსიტყვოდ შემოეხვია ქმარს. შორიახლო იდგა ანატოლი თავისი ჯერის მოლოდინში, დაბნეულს ისიც კი დავიწყებოდა, რომ მეზობლის პატარა გოგონასათვის ხელი გაეშვა. ის გოგონა, ვისი ცალი ხელიც ანატოლს მაგრა ჩაებღუჯა, ასე რვაცხრა წლისა, იდგა თავჩაქინდრული. ვინც დააკვირდებოდა, და მისთვის მოიცლიდა, მიხვდებოდა, რომ ბავშვი გულამომჯდარი ტიროდა.

— ეს ვიღასია? მოდი, ჩემო ლამაზო, მოდი ჩემთან, ჩემო კულულებიანო,—დაიხარა ოლექსა ბავშვისაკენ, როცა თავისიანების ხვევნა-მოკითხვას მორჩა,—რატომ ტირი, შენი ჭირიმე!

— არსად მოგიკრავს თვალი, ოლექსა, სადმე გრიშასათვის?—ეკითხებოდა დამწუხრებული მეზობლის ქალი.—გრიშა კვაჭანტირაძისაა ეს საბრალო, არ გახსოვს პატარა მარგო, მარგალიტა?!

გრიგოლ კვაჭანტირაძე კეთილი მეზობელი და კარგი ამხანაგი იყო ოლექსასი. თითქმის ერთდროულად წავიდნენ ისინი ფრონტზე. გრიგოლიც უკრაინის ფრონტებზე იბრძოდა, იქნებ ხერსონშჩინაში, იქნებ ხაშივატოც გაუვლია ბრძოლით? იქნებ ფრონტზეც ოლექსას მეზობელი იყო, მეზობელ ნაწილში იბრძოდა?

ყოველშემთხვევაში, ოლექსას არაფერი კარგი ამბის ჩამოტანა არ შეეძლო სოფელში გრიგოლის შესახებ.

...გრიგოლი აღარ დაბრუნებულა.

მაგრამ ამ ამბავს ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით.

თავის ხელობაზე ველარ იმუშავა მარჯვენა მკლავში დაჭრილმა ოლექსამ, მაგრამ განა ყველაფერი კარგი ხელობა არ არის, რასაც დაეუფლები? მით უფრო, როცა მოწადინება და შრომისმოყვარეობა არის, ოლექსა კი მხოლოდ შრომისათვის იყო გაჩენილი, შრომისა და ბედნიერებისათვის. მას კოლმეურნეობაში ფუტკრები ჩააბარეს. დაფუსფუსებდა ოლექსა ფუტკრის ოჯახებს. თაფლს არ აკლებდა კოლმეურნეებს თაფლივით ტკბილი და უწყინარი ოლექსა. მაგრამ მარტო ეს როდი იყო მისი საქმიანობა—სადაც კი დაჭირდებოდა იგი კოლმეურნეობას, ყველგან მზად იყო ემუშავნა. ნიურა ერთიათად იქცა ქმრის დაბრუნებით გამხნევებული. ოჯახმა ახლებურად დაიწყო დუღილი. ახლა ორი თვალი ხის სახლი როდი იყო საკმარისი. ხუცრობა ხომ არ იყო—ვაჟიშვილი ვაჟკაცდებოდა, გოგონა ქალიშვილდებოდა, მომავალია—რძალია, სიძეა, მეზობლობა და ნათესაობაა, უკრაინელი თანასოფლელებიც ჩამოდიან, მათ ხომ არ ათქმევინებ—ჩვენი მოძმე ღარიბულად ცხოვრობსო.

— ვინ? ვინ არის იგი?

— მე ხომ გთხოვე, ნუ გამიწყრები-მეთქი. მაშინ მამას რაღა უნდა გავუბედო...

დედაც და მამაც ჩვეულებისამებრ ცოტათი გაინაზნენ, დატუქსეს კიდეც ქალიშვილი აჩქარებისა და «დაუკვირებლობისათვის», მაგრამ...

ახლა ისინი ქალიშვილთან და სიძესთან ერთად შეჰხარიან ერთადერთ შვილიშვილს—ვარდისფერი ლოყებით, ქერა კულულებით, შავი თვალებით.

ვინ არის სიძე? სუფსელი ბიჭია, ისეთი, შეხედვა გაგეხარდებათ! გურამი ჰქვია, გვარად ბაზაძე. ახლა სამხედრო სამსახურს იხდის.

ქორწილი იყო სამისკოებთან ისეთი!..



ფოტო ა. აბულაძის

და დაიწყო ამ სერზე, ამ ეზო-კარში ისეთი მშენებლობა, ისეთი შრომა გაჩაღდა,—უცხო გამვლელს ეგონებოდა, აქ უთუოდ საზოგადოებრივ შენობას რასმე აგებენო.

სოფელი შრომა რაღაც ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს, არა მარტო ბუნების ჯილდოს, არამედ შრომის ნაყოფს, შრომით აყვავებულს.

...მაგრამ სამისკოების ოჯახში რომ ხართ, გეგონებათ სანატორიუმში იმყოფებით... ბაღ-ვენახებშია, ციტრუსებშია, პალმებშია ჩაფლული მათი ორსართულიანი კაპიტალური სახლი კი არა სასახლე...არა მგონია გურიელებს წინათ ასეთი სახლი ჰქონოდეთ. და რა გგონიათ, განა ინჟინრები და არქიტექტორები, განა მშენებელი ოსტატები და მუშები იყვნენ მის აგებაზე მოწვეული? ყველაფერი საკუთარი მარჯვენით, კოლმეურნეების და მეზობლების დახმარებით გააკეთეს სამისკოებმა.

— დედა,—უთხრა ერთხელ თამარმა ნიურას,—ნუ გამიწყრები, ჩემო დედა. შენც ხომ იყავი ახალგაზრდა, შენც ხომ გიყვარდა მამაჩემი? აი ასე მიყვარს მე...

მაგრამ ქორწილი, რომელიც აქ მარტში გადაიხადეს, დიდხანს ემახსოვრებათ შრომელებსაც და ხერსონელებსაც.

გახსოვთ გრიშა რომ ვახსენეთ ზემოთ, კვაჭანტირაძე? და ის პატარა გოგო, მარგალიტა, ტირილით რომ შეხვდა ომგადახდილ და შინ დაბრუნებულ ოლექსას? ანატოლს რომ იყო მინდობილი?

იცით რატომ ტიროდა მაშინ? გული უკვდებოდა რომ არ ბრუნდებოდა მისი მამაც!

ახლა მას ჰყავს მამა—ეს ოლექსაა. მას ჰყავს ცხოვრების მეგობარი და თანამგზავრი—ეს ანატოლია, სამისკო,

სამისკოების სასახლის ქორწილი ქართველებისა და უკრაინელების ზეიმი შეიქმნა. მოპატიჟებული იყვნენ ხერსონიდან, გენიჩესკიდან... უკრაინელები იყვნენ ანატოლის მაყრები...

ზეიმობდა სოფელი შრომა, ზეიმობდა ხალხთა ლენინური მეგობრობა.

ეს ქორწილიც ამ მეგობრობის სიმბოლო იყო, მეგობრობისა, რომელიც აგერ ოცი წელიწადია ხიდად არის გადებული გენიჩესკელებსა და მახარაძელებს შორის.

ვლ. თორდუა.



თითქოს გუშინ იყო. ჩინელი რიქშა ქედმოხრილი მძიმე ტვირთქვეშ რომ მიჰყვებოდა პეკინის ქუჩებს... თითქოს გუშინ იყო ბრინჯის გაშლილ ველებს ჩინელი გლეხის ნაღვლიანი ჰანგი რომ სერავდა და შორს მიდიოდა ჩინელი კაცის გულის დარდი, არღვევდა ჩინურ კედლებს, აღწევდა ჩვენამდე.

და ვიცოდით—აზიის მცხუნვარე მზის ქვეშ ციოდა, შიოდა ჩინელს... მას მწუხარე თვალები და ფეხშიშველობით დახეთქილი ტერფები ჰქონდა... გული სტკიოდა ჩინელს... მიტაცებულ დამოუკიდებლობას მისტიროდა მთელი ჩინეთი.

ჩინეთი!

აღმოსავლეთის ერთერთი უძველესი ქვეყანა, უძველესი სახელმწიფო, აზიური კულტურის აკვანი...

ქვეყანა, რომელსაც შორეულ საუკუნეებში ჰქონდა განვითარებული სოფლის მეურნეობა, ჩამოყალიბებული მართვა-გამგეობა... თვითმყოფადი ეროვნული ხელოვნება, ლიტერატურა. ქვეყანა, სადაც მიაგნეს ბეჭდვის საიდუმლოებას, აღმოაჩინეს ქაღალდი, გამოიგონეს კომპასი... და ეს ხალხი განთქმული თავისი შემოქმედებითი ნიჭიერებითა და ფანტაზიის სილაღით გახდა სხვისი მონა, მისი სამშობლო—ულამაზესი და უმდიდრესი ქვეყანა ასეულ წელთა მანძილზე უცხო იმპერიალისტთა სათარეშოდ იქცა. შეჩერდა ქვეყნის განვითარება, სანახევროდ კოლონიად ქცეული, ნახევრად ფეოდალური დარჩა...

გული სტკიოდა ჩინელს... გულში ბოღმა ჩადგა, მერმე ამბოხდა, უძლეველ ძალად აზვავდა და ექვსასმილიონიანმა ერმა ჰპოვა ნანატრი თავისუფლება. ჩინეთის კომუნისტური პარტია და მისი ბელადი მაო ძე-დუნი იყო ამ დიდი გამარჯვების შემოქმედი...

თავისუფლება დაიბრუნა ჩინეთმა, აზიასა და აფრიკას გაზაფხულის მახარობლად მოევლინა...

მშვიდობა, სამართლიანობა, თანასწორობა აღბეჭდა თავის დროშაზე და დაიწყო ახალი ცხოვრების შენება... წამოიმართა ნაპარტახევი ქვეყანა, საუკუნეთა დანაკარგს იბრუნებს ჩინეთი... გაუგონარი ძალით გაიშალა ხალხის შემოქმედებითი ენერგია. რა არის სიძნელე, ოდეს ჩინელს გადაუწყვეტია «მთებს მოადრეკინოს მწვერვალები, გზა დაათმობინოს მდინარეს»!

ცხრა წელი გავიდა და თითქოს გუშინ იყო თავისუფლების მზე რომ ამობრწყინდა ჩინეთის ზეცაზე, თითქოს გუშინ იყო, და უკვე ღრუბლები შემოკრბნენ მას გარშემო... ამერიკული იმპერიალიზმი დაემუქრა ამ მზეს...

ჩინეთის ირგვლივ იარაღის ჟღარუნი საფრთხის ქვეშ აყენებს მსოფლიოს მშვიდობას. კმარა! მშრომელებს არ სურთ ომი და სისხლისღვრა!. და თუ იმპერიალიზმი გაბედავს ცეცხლის ხანძარი დაანთოს ჩინეთში, სამართალი და ძალა იქნება ჩინეთთან!

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირი, დემოკრატიული სამყარო, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები იქნებიან ჩინეთთან! აგრესორი კი, როგორც ეს მაო ძე-დუნმა სთქვა, სულს დალევს საკუთარი ხელით გაკვანძულ მარყუჟზე.

მ. ქვარაცხელია.

# 26 კომისარი



(მათი დახვრეტის 40 წლისთავის გამო)

ორმოცი წლის წინათ ამიერკასპიის მხარის მიყრუებულ ველში ბრიტანეთის იმპერიალისტებმა, კონტრევოლუციონერი—ესერებისა და მენშევიკების ინიციატივით, მათი აქტიური მონაწილეობით, ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს ბაქოს 26 კომისარი, ნათელი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლები: ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, მ. აზიზბეკოვი, ი ფიოლეტოვი და სხვები.

დიდი ოქტომბრის ზეგავლენით, ბაქოს პროლეტარიატის ნება-სურვილით 1917 წლის 4 (17) ნოემბერს ბაქოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ პირველ ხანებში შეუძლებელი გახდა ქალაქის მთლიანი დაპატრონება. იგი მთელ ქალაქზე გავრცელდა 1918 წლის მარტის დამლევს.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ვ. ი. ლენინი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამიერკავკასიის მშრომელთა პოლიტიკურ ბრძოლას, განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ბაქოს კომუნისტების საქმიანობას.

1918 წლის 14 თებერვლის დეპეშაში ვ. ი. ლენინი, აღფრთოვანებას გამოთქვამდა რა ბაქოს კომუნარების პოლიტიკისადმი, წერდა:

ძვირფასო ამხანაგო შაუმიან!

... აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. შესძელით შეაერთოთ მასთან უაღრესად ფრთხილი დიპლომატია, რასაც უთუოდ გვიკარნახებს ახლანდელი უძნელესი მდგომარეობა,—და ჩვენ გავიმარჯვებთ".

როდესაც მუსავატთა კონტრევოლუციური და ანტისაბჭოთა (სამდღიანი) ამბოხება მათი სრული განადგურებით დამთავრდა, ბაქოში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება, და ზაფხულ-შემოდგომაზე იგი აზერბაიჯანის მთელ რიგ რაიონებში გავრცელდა.

1918 წლის 25 აპრილს ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ჩამოყალიბდა სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც აზერბაიჯანის სახელმწიფო მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სტეფანე შაუმიანი, მის შემადგენლობაში შევიდნენ: შინაგან საქმეთა კომისრად ალიოშა ჯაფარიძე, გუბერნიის კომისრად—მეშადი აზიზბეკოვი, სახალხო მეურნეობის თავმჯდომარედ—ივანე ფიოლეტოვი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრად—გრიგოლ ყორღანოვი, შრომის კომისრად - ი. ზევინი და სხვ.

განსაკუთრებით რთულ სამხედრო და პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა ბაქოს სახკომსაბჭოს. ამიერკავკასიაში თარეშობდნენ კონტრევოლუციის ბნელი ძალები, მათ დიდ დახმარებას უწევდნენ მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატები და ესერები. ამასთან, ბაქოს სახკომსაბჭოს, ბრძოლა უხდებოდა უცხოეთის ინტერვენტების წინააღმდეგ, ინტერვენტებისა, რომლებიც ბაქოს დაპყრობას ლამობდნენ.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და პირადად ვ ი. ლენინის მხარდაჭერით ბაქოს სახკომსაბჭომ პირველი დღეებიდანვე მთელი რიგი ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებები განახორციელა, რომლებიც მიმართული იყო პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ და ბურჟუაზიის განადგურებისაკენ.

პირველი დიდი ღონისძიება იყო ბანკების ნაციონალიზაცია. შემდეგ განხორციელდა ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია, რასაც უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მიღებული იქნა გადამწყვეტი ზომები ნავთის ამოღების გასადიდებლად, ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბაქოს მუშები ენერგიას არ იშურებდნენ. ამასთან ისინი დიდ რევოლუციურ სიფხიზლეს იჩენდნენ, რათა მენშევიკების, ესერების, დაშნაკების, მუსავატების კონტრევოლუციურ-მავნებლურ მოქმედებისაგან დაეცვათ სარეწები. განხორციელდა თევზის მრეწველობის, კასპიის ფლოტის ნაციონალიზაცია და სხვ. დიდი მუშაობა წარმოებდა აზერბაიჯანელ გლეხობაში. სახკომსაბჭომ მოახდინა ბეკებისა და ხანების მიწების კონფისკაცია და გლეხობას გადასცა, თანდათან განმტკიცდა მუშებისა და გლეხების პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი. გატარდა ღონისძიებები ახალი სახელმწიფო აპარატის შექმნისათვის, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა მექრთამეობას, გაუმჯობესდა მშრომელთა ეკონომიური პირობები, გარდაიქმნა სახალხო განათლება და სხვ.

ამიერკავკასიის და ბაქოს კაპიტალისტები და მემამულეები, გრძნობდნენ რა თავიანთი დაღუპვის გარდუვალობას, ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა იმპერიალისტთა დახმარებით მოეხდინათ ძველი წყობილების რესტავრაცია. შინაგან კონტრევოლუცონერთა ამ წადილს სავსებით ემთხვეოდა ინგლისის, გერმანიის, თურქეთისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა მტრების სურვილები, ისინი თავის მხრივ ცდილობდნენ დაემხოთ ბაქოსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება, ხელში ჩაეგდოთ ქვეყნის სიმდიდრე და მისი ტერიტორია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გამოეყენებინათ. შეიქმნა უდიდესი საშიშროება. ბაქო შინაური და გარეშე მტრების მარწუხებში მოექცა.

განსაკუთრებით მძიმე პირობები შეიქმნა 1918 წლის ივლისში. ესერებისა და მენშევიკების ძირგამომთხრელი მუშაობის შედეგად ბაქოში დროებით დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო 31 ივლისს ბაქოს სახკომსაბჭომ ს. შაუმიანის მეთაურობით თავისი რწმუნება მოიხსნა. აგვისტოს პირველ რიცხვებში კონტრევოლუციურმა პარტიებმა შეადგინეს მთავრობა, „ცენტროკასპის დიქტატურის" სახით, დააპატიმრეს საბჭოთა ხელმძღვანელები და ბაქო ხელში ჩაუგდეს ინგლისელ დამპყრობლებს. ბაქოს ამბებით შეწუხებული ლენინი 1918 წლის 9 აგვისტოს ასტრახანის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს ეკითხება დეპეშით:

„მდგომარეობა ბაქოში ჩემთვის მაინც გაურკვეველია.

ვის ხელშია ძალაუფლება?

სად არის შაუმიანი?

შეეკითხეთ სტალინს და იმოქმედეთ ყველა გარემოების გათვალისწინებით; თქვენ იცით, რომ მე სავსებით ვენდობი შაუმიანს."

ინგლისელმა ოკუპანტებმა მთელი სისასტიკით განახორციელეს თავიანთი ვერაგული გეგმა: მხეცურად დახვრიტეს მუშათა კლასის ერთგული შვილები—ბაქოს 26 კომისარი.

საქმემ, რომელსაც თავი შესწირა ბაქოს 26 კომისარმა, გაიმარჯვა—1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. აზერბაიჯანის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ძლევამოსილად მიდიან წინ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

მერი ხოსროევა.



# მიირთვით ქალაქელებო, ბოსტნეული, ყურძენი, მარწყვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვასავით მოლივლივე ქარვისფერი თავთუხის ყანასთან ორნი იდგნენ: მოხუცი კოლმეურნე და ახალგაზრდა ქალი.

— აი, შეხედეთ, ქერი უკვე მომწიფებულა! — ეშმაკური ღიმილით ეუბნებოდა ახალგაზრდას ავჭალელი გლეხი. შესცქეროდა იგი ქალს და თან ფიქრობდა: „ალბათ, ეს ლამაზი ქალაქელი აგრონომი ქერსა და ხორბალს ერთმანეთისაგან ვერც არჩევსო."

მერე თავთავები მოწყვიტა, მუჭში მოფშვნიტა, ჩენჩო სულის შებერვით გაფანტა, ჯერ ხელის გულზე დაგროვილ მარცვალს დააცქერდა, შემდეგ ქალს წარბებქვეშ გახედა და შეეკითხა:

— ჰა, რას იტყვით?

— იცით რას ვიტყვი? ორი დღის შემდეგ, აი აქედან დაიწყებს კომბაინი ხორბლის, და და არა ქერის, აღებას! — მშვიდად უპასუხა ქალმა, თითქოს ვერც ამჩნევსო ირონიას.

რამდენიმე დღის შემდეგ იგივე გლეხი მტს-ის აგრონომ აკაკი კაპანაძეს შესჩიოდა:

— რა ქალის საქმეა აგრონომობა. გასათხოვარი ქალის ხეტიალი მინდვრად ვინ გაიგონა. ურჩევთ მალე გათხოვდეს ის თქვენი ლამაზი აგრონომი, შვილები დაზარდოს, იმათ ასწავლოს ჭკუა, მერე და, ვინ დაიწუნებს, სილამაზე აკლია თუ სიტყვა-პასუხი. ჰა, შენ რას იტყვი, შვილო?

რა იცოდა მოხუცმა კოლმეურნემ, რომ აგრონომ კაპანაძეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ვენერა როინიშვილის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გამხდარიყო და მოხუცის ნათქვამიდან მხოლოდ ორი სიტყვა დაიმახსოვრა: „მალე გათხოვდესო."

ვენერა მართლაც მალე გახდა კაპანაძის მეუღლე. შეხედულებებისა და მისწრაფებების ერთობამ, სიყვარულმა ახალგაზრდებს საშუალება მისცა შეექმნათ ნამდვილი საბჭოთა ოჯახი. მაგრამ ოჯახმა ვენერას როდი შეუშალა ხელი განეგრძო შრომა თავისი სპეციალობის მიხედვით. იგი მტს-ში დარჩა.

და, აი უკვე 25 წელია დადის ვენერა თავის საყვარელ მინდვრებში და ბაღ-ვენახებში, დადის გაზაფხულზე და შემოდგომაზე, ზამთარსა თუ ზაფხულში. ცხარსა თუ ავდარში, დადის და სიხარულით უბრწყინავს თვალები, როცა ხედავს ტრაქტორით გადახნულ მინდვრებს, ხასხასა ჯეჯილს, მუხლებამდე ყანას, ხორბლის ზვავს, ნაყოფით დახუნძლულ ხეხილსა და ვაზს, ადამიანის შრომის ბარაქას, დოვლათით სავსე კოლმეურნეთა ოჯახებს.

ერთი წუთითაც არ ავიწყდება ვენერას თავისი დიდი მოვალეობა, არ ავიწყდებოდა მაშინაც, როცა უდარდელი ქალიშვილი იყო, არც მაშინ, როცა სრულიად ახალგაზრდა ორი შვილის დედა გახდა, მაშინაც, როცა უბედურმა შემთხვევამ საყვარელი მეუღლე ხელიდან გამოაცალა. დამწუხრებული მაინც დადიოდა წყნეთის, ნახშირგორის, ახალდაბის გზებზე, მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის, ხილისა თუ ვაზის მოსავლიანობის გადიდებაში რომ დახმარებოდა კოლმეურნეებს.

ვერ ვიტყვით როდის უფრო მეტი ხალისითა და მონდომებით შრომობდა ვენერა, მაშინ, როდესაც თბილისის მტს-ში პირველად მივიდა, შემდეგ წყნეთის კოლმეურნეობაში, ან თელეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოფნისას თუ ახლა — გლდანის კოლმეურნეობაში? მიზანი ყოველთვის ნათელი ჰქონდა მას — ხალხის სამსახური, და უკვე მეოთხედმა საუკუნემ განვლო ამ სამსახურში.

ახლა ვენერას გამოსაცდელად შეკითხვებს როდი აძლევენ, როგორც ამ 25 წლის წინათ, არამედ მასთან რჩევის საკითხავად მოდიან მოხუცი თუ ახალგაზრდა კოლმეურნეები, მის ლექციებს დიდი ყურადღებით ისმენენ აგრომინიმუმის შემსწავლელ წრეებში.

...მთების ძირას., ხევის ორივე მხარეს ლამაზად გაშლილ ბაღ-ვენახებში ჩამალულა სოფელი გლდანი. ამ სოფლის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველო" მარტო გარეუბნის რაიონში კი არა, რესპუბლიკაშიც მოწინავეა. იგი მალე თავისი არსებობის 30 წელს აღნიშნავს. ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში გლდანში, ამ ცვლილებების შესახებ მნახველს თვითონ უამბობს საშუალო სკოლა, სამედიცინო პუნქტი, რადიო, ელექტროგანათება, სათბური, კოლმეურნეთა ახალი საცხოვრებელი სახლები. მშრომელთა ოჯახებში მდგარი ტელევიზორები, თანდათან იზრდება, მშვენდება სოფელი.

მალე ამუშავდება იარაღ-მანქანების სარემონტო სახელოსნო. დამთავრდება ცირკის მშენებლობა, სკოლისა და კოლმეურნეობის კანტორის ეზოების კეთილმოწყობა და მოასფალტება, ელექტროხაზის გაყვანა ახალ უბანში, სადაც 80-მდე კოლმეურნე იშენებს სახლებს.

ამ კოლმეურნეობის განკარგულებაშია 863 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, 35 ჰექტარი ვაზი, 35 ჰექტარი ხეხილი, 4 ტრაქტორი, 2 კომბაინი, 10 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

გლდანის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. აგრონომის საქმიანობის ასპარეზი კი საკმაოდ ფართოა — მებოსტნეობის, მევენახეობის, მემინდვრეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კარგად მოწყობა იოლი საქმე როდია.

გლდანში უხსოვარი დროიდან ხარობს ვაზი, მარწყვი, ხილი, პურეული. ბოსტნეული კი...

ამ რამდენიმე წლის წინათ მებოსტნეობაზე ლაპარაკიც არ სურდათ ზოგიერთებს... მაგრამ პარტიამ საგარეუბნო კოლმეურნეობების წინაშე ახალი ამოცანა — ბოსტნეულით ქალაქების მშრომელთა მომარაგება — დასახა და გლდანელები სხვებს როდი ჩამორჩნენ — მოკლე ხანში თვალსაჩინოდ გაადიდეს ბოსტნეულის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა.

წინათ ბოსტნეული ძირითადად ბაღ-ვენახებში ითესებოდა, ძნელდებოდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ნათესები არ ირწყვებოდა, მოსავლიანობა დაბალი იყო. ბევრი იფიქრეს და გამოსავალიც ნახეს: „თბილისის ზღვის" დასავლეთით კოლმეურნეობას ნაყოფიერი ველ-მინდვრები აქვს. ერთი მათგანისათვის ხალხს „ძირტკბილიანი" მინდორი შეურქმევია. ამ მინდორზე შეჩერდა აგრონომის არჩევანი. „ძირტკბილიანი" მინდორი ბარაქიანი გამოდგა...

გლდანური კომბოსტოთ, პამიდვრით, კიტრით, ბადრიჯნით, სტაფილოთ, მწვანილით დატვირთული მანქანები ხშირად მიქრიან დედაქალაქისაკენ, კოლმეურნეობის სიამაყეა ახალი სათბური.

... როცა გლდანის მთებიდან ცივი ქარი ჩამოიქროლებს და ზრიალით აწყდება სათბურების ფანჯრებს, თითქოს მის გამოსაჯავრებლად სათბურიდან გაზაფხული იღიმება — თბილისელ მშრომელთა სუფრის დასამშვენებლად თავს იწონებენ „მუხრანული" შუშაკიტრები, წითლად მოღაღაჟე პამიდორი, ქორფა ტარხუნა, მწვანილი...

წინათ უკვირდათ და ანდაზაც გამოუთქვამთ: დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.

ახლა?!..

შეუძლია ინატროს და გლდანის საკოლმეურნეო სათბურში მოკრეფილი გემრიელი მარწყვითაც ჩაიტკბარუნოს პირი...

სიხარულის დღეებია გლდანში — დედაქალაქის 1500 წლისთავია! მთავრდება „თბილისის ზღვიდან" სარწყავი ქსელის გაყვანა 400 ჰექტარის მოსარწყავად, იორის წყალი ბოსტნეებშიც იჩუხჩუხებს დღეინადაგ.

მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირი იოსებ ალიმბარაშვილიც ვერ მალავს სიხარულს:

— ჩვენი კოლმეურნეობა ორჯერ იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ყურძნის მაღალი მოსავლიანობისათვის, ჩვენი ვენერაც დააჯილდოვეს გამოფენის მედლით. ახლა მებოსტნეობითაც უნდა ვისახელოთ თავი. სარწყავი წყალი ბლომად გვექნება და მევენახეებს პირველობას შევეცილებით.

— უსათუოდ! — უდასტურებენ ბრიგადის მოწინავე წევრები ელენე გოგიძე, ელენე ნესტიაშვილი, ოლღა გოგიძე, ალექსი მგალობლიშვილი, ათოლა აბუაშვილი.

მომავალ წელს 5 ჰექტარი მიემატება საბოსტნე ფართობს.

— ყოველწლიურად უნდა გავადიდოთ ბოსტნეულის წარმოება, — გვითხრა ვენერამ, — დედაქალაქის მცხოვრებთა სუფრა დავამშვენოთ მრავალფეროვანი და ქორფა ბოსტნეულით. ზაფხულში ყოველდღიურად 2—3 ტონა ბოსტნეულს ვაწვდით თბილისს. საჭიროა კი მეტია. გადაწყვეტილი გვაქვს იმდენი ბოსტნეული მოვიყვანოთ, რომ შევძლოთ ვუთხრათ თბილისის მშრომელებს: ჩვენ პირნათლად ვასრულებთ პირობას, მიირთვით რამდენიც გენებოთ მაღალხარისხოვანი გლდანური ბოსტნეული!..

— ყურძენი, ხილი, მარწყვი!.. — უმატებს მოწინავე მევენახე თამარ ნარიმანიძე.

უყვართ და პატივს სცემენ თავიანთ აგრონომს გლდანელები, ამიტომ აირჩიეს იგი მშრომელებმა რაიონული საბჭოს დეპუტატად, კომუნისტებმა — საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნად.

— ვენერას გლდანიდან ალარსად გაეუშვებთ, — ამბობენ გლდანელები.

* * *

შემოდგომის საღამოა. ვენერა აივანზე ზის. წიგნი გადაუშლია და ყურადღებით კითხულობს.

...„ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, მე ისევ ამ გზით ვივლიდი," — თითქოს გაიხმიანეს ფაშისტების მიერ ნაწამები ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილის გაბრიელ პერის ამ სიტყვებმა და ქალის მთელი არსება მოიცვეს. მას თვალები თავისთავად ეხუჭება და ეჩვენება თითქოს აივანზე ჩუმად შემოდის მამაცი კომუნისტი, სახეში შესცქერებს, იღიმება და ეკითხება:

— თქვენ?

— მეც! — უხმოდ პასუხობს ვენერა.

**მარიამ დელგაშიშვილი,**
**მედეა რამიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქა მშვიდობა

## მოგვაქვს სალამი

რუსეთში ვართ და თავი საქართველოში გვგონია. იქნებ იმიტომ, რომ ʹწინასწარ ვიცით, ქართულ სოფელში მივდივართ. ეს მთები ჩვენია, ქართული. ეს ქოჩორა ბუჩქები იმერეთშიც შეგვხვედრია. სადა ვართ?— ერთმანეთს ვეჩურჩულებით. და მივქრივართ.

გააჩერე, მძღოლო, გააჩერე და ჩამოგვსხი. უკვე ჩვენებთანა ვართ, აი მთები გვესალმებიან. ვერა ხედავ, გვიცნეს. გააჩერე. მძღოლო, გაგვიგონე!

მივქრივართ. ჩქარა, ჩქარა, მაინც მიგვიყვანე, თორემ გული დაგველია, ჩვენს სისხლთან და ხორცთან მივდივართ, ერთი საუკუნის წინათ





რომ დასტოვეს ქართული მიწა. ერთი საუკუნეა დებს ძმები არ გვინახავს, ჩქარა, თორემ ველარ ვითმენთ.

გვიცნობენ? მიგვიღებენ? იქნებ ისე შეგვხვდნენ, როგორც ყველასგულღიად, მაგრამ თავდაჭერილად? არა, ჩვენ ეს არ გვაწყობს. ერთი დედის, ერთი ქვეყნის შვილები ვართ, ჩვენში ასე არ ივარგებს. მივქრივართ.

და უცებ ვჩერდებით. მძღოლი ქართულად გვეუბნება, რომ მივედით. მის ხელს თვალს ვაყოლებთ და ვუსმენთ: ამ ფერდობს ჩაირბენთ, სკოლის ეზოს გაივლით, ბონდის ხიდს გახვალთ და შინა ხართ.

მშვიდობა შენდა, მთებო, შენაც, ლამაზო სოფელო, კოხტა ოდებო რიკულებიანი აივნებით, ვაზის ტალავერო, ბარაქიანო! მოვედით. თქვენ კი ჯერ არაფერი იცით, მასპინძლებო. რომ გცოდნოდათ, აქვე დაგვხვდებოდით, სოფლის თავში. სალამოვდება, მაგრამ თუ კარში გამოხვალთ, დაგვინახავთ—სალამი მოგვაქვს მშობლის დანაბარები.

## საუკუნის წინათ

ჩვენ ვფიქრობთ იმ წუთზე, როცა ამ ხეობაში პირველად შემოჭრიალდა ქართული ურემი, ერთი კი არა, ქარავანი. მეურმეები, ალბათ, არ ღიღინებდნენ. ან რა გემღერება, როცა შენი მიწა დატოვე-მწირი, მაგრამ მაინც შენი, მშობლიური, თუ შენ სოფელს გამოწყდი, შენს ხალხს, გაჭირვებულს, მაგრამ მოყვარულს და გამტანს. წინ კი უცხო მხარეა, და არ იცი რა მოგელის. იქნებ დარჩენა ჯობდა?

გულდარდიანად მიაბიჯებდნენ ოჯახის უფროსები. დედებს ატატებული მიჰყავდათ ძუძუს ბავშვები.

ხეობაში რომ შემოვიდნენ, ლეჩხუმლებმა მდინარისპირა ნოყიერ მიწებს მზერა შეუბრუნეს და დასასახლებლად მთის ტყიანი ფერდობი აირჩიეს. ნაჩვევი ვართო, თხებსაც მოვამრავლებთო. შემდეგ ამ ოც ოჯახს სხვებიც მიემატნენ რაჭიდან, სვანეთიდან...

## ბებია მაკრინე

ჩქარა ბებია მაკრინე რვა ათეულ წელს დაითვლის. ჰაუ, მოსაყოლი რამდენია! ბალღი იყო პლასტუნკაში რომ მოვიდა, მერე კი ვინ მოსთვლის რამდენი ბალღის დაბადებას მოესწრო—თავისას თუ სხვისას. სხვისასო? სხვა რომელია! მისი კალთის სითბო სოფლის ყველა ბავშვმა იცის. მისი ტკბილი ქართულით ჩვენც ვიხიბლებით.

ახლა ის ... ზის ტალავერქვეშ თავისი შვილიშვილის აკვანს უზის. ვაზის ფოთლე ჰი დაუსხლტება მზის სხივს ფეხი და დათუნას სახეზე დაეცემა. აჭყლიპინდება ჩვილი, ახალგაჭრილ კბილებს უჩვენებს ქვეყანას, მაშინ ბებიას სახეზე ყოველი ნაოჭი იცინის.

გასაკვირია ამ ტანჯვაგამოვლილ ქალში სიცოცხლის ასეთი სიყვარული. განა თავის თავზე არ გადაიტანა ცხრაასხუთი? მთებში რომ იხიზნებოდნენ რევოლუციონერი ქართველები, განა ქალები არ რჩებოდნენ სახლებში? შემდეგ, როცა აუტანელი ხდებოდა ჩაგვრა, მთებს მიაშურებდნენ ბალღებიანი დედებიც. უკაცურდებოდა სოფელი. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა ნასახლარებში. ტყეში კი ასწლოვანი მუხების ძირას ირწეოდა მომავალი ვაჟკაცების აკვნები. და სადღაც, ზემოთ იფანტებოდა იმედიანი „იავნანა“.

რა არ გამოიარეს პლასტუნკელმა ქალებმა! გაჭირვებას ვინ ჩიოდა. უარესსაც გაუძლებდნენ, ოღონდ იმას ვეღარ აიტანდა გული, ცხოვრების თანამგზავრს რომ მოგლეჯდნენ გვერდიდან და ციმბირში გადაკარგავდნენ. ვეღარც ნახეს თავისი სოფლის ზეცა ფილიპე და მელიტონ ფრუიძეებმა...

ახლა თქვენ ცხრაასცხრამეტი წლის ამბებსაც იგონებთ, ბებია მაკრინე: დენიკინელები რომ პარპაშობდნენ თქვენს სოფელში. მაშინაც სამოცზე მეტი ახლო-მახლო სოფელი აღსდგა თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. პარტიზანთა შტაბი პლასტუნკაში იყო. როცა სოფელს დასამშვიდებლად პოლკოვნიკ ჩაიკოვსკის ჯარი მოადგა, პლასტუნკელებმა მოკლეს პოლკოვნიკი და ჯარი უკუაგდეს.

აი, ეს იყო ყველაზე საშინელი დრო პლასტუნკის ცხოვრებაში. სოფელში დამსჯელი რაზმები შემოვიდნენ. დაიწვა და ნასახლარად იქცა კოპწია სახლები; უწყალოდ იხოცებოდა პირუტყვი. იძარცვებოდა სახლები. თქვენ, ბებია მაკრინე, მაშინ ბავშვს ელოდით. სახლში რომ დასარბევად შემოგივარდნენ ყაჩაღები, კინაღამ თავი შეაკალით, არ კი დათმეთ ოჯახის დოვლათი.

ამ წლებმაც გადაიარეს სოფლის თავზე. მერე კი ყველანი ხალისით შეუდექით ახალი ცხოვრების შენებას. ბარაქით აივსო სოფელი.

სისარული თურმე ნაიარევ გულს აშუშებს და აახალგაზრდავებს, გინდაც მწუხარებამ მთლად გაგითეთროს თავი და ჯაფამ ხელებზე ნაოჭების ბადე დაქსოვოს.

-- დაღუპულს ვინ დააბრუნებს, შვილო, მათ სანაცვლოდ სხვა ვაჟკაცები დაეზარდნენ სოფელს: ომში წასულებმა აკვნებში რომ დასტოვეს. ახლა მთას გადააბრუნებენ ის ბიჭები.

## მიწამ გადიხსნა გულმკერდი

უკულმა ნასროლი თესლი აქ წალმა დაცემულა, გაფუებულა, ამოსულა, უმარჯვნია. და ერთხელაც პირი რომ ქნა მოსავალმა, მერე ხალხს არ დაუკლია საცდელი, შესევია მიწას და მიწასაც მკერდი გადუხსნია.

განა მარტო ქართველებისთვის? 237 ოჯახიდან 160-ია ქართული და რომ ჩაიარო, ვერ გაარჩევ, რომელია ქართველთა კარმიდამო და რომელი რუსების. ყველა ერთნაირად ხარობს, ერთნაირად დატვირთულა ნაყოფით.

მიწაა მადლიანი.

სულ 1700 ჰექტარი აქვს სოფელ პლასტუნკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. აქ ყველა კულტურას ნახავთ:





მაგრამ მერე ისევ დაითალხა თქვენი ზეცა. ფაშისტებმა რომ გადმოლახეს საზღვარი. ეს ჭრილობა ყველაზე ახალია. ამიტომ ჯერაც ვერ მოგიშუშებიათ. თითქოს გუშინ მიდიოდნენ საომრად ვაჟკაცები. რა დაავიწყებს იმ შავ დღეს თქვენი სოფლის ქალებს, ერთი გაწვევის ვაჟკაცებით დატვირთული ეშელონი რომ დაბომბეს სოჭთან. ერთი ბომბი იმ ვაგონსაც მოხვდა. თქვენი სოფლელები რომ იყვნენ. აბა, ვინ გადარჩებოდა. ზეცას ასწვდა ქალების ზარი და მოთქმა. შემდეგაც კიდევ ბევრი გაწვევა იყო, ვაჟკაცებიც ბლომად წავიდნენ... უკან კი ცოტა დაბრუნდა. სულ ცოტა... თითებზეც კი ჩამოითვლით...

ასთვრამეტი ვაჟკაცი ასსამოცი კომლიანი სოფლისათვის ცოტა როდია. აბა, ახლა დათვალეთ, რამდენმა ქალმა ჩაიცვა შავი. სხვა რა ექნათ, თორემ მწარე იყო შავოსანი ქალების ხელით მოწეული მოსავალი. მაშინ სიმღერას გადაეჩვივნენ პლასტუნკელები. მაშინ ყოველი სახლის კართან აიტუზა მწუხარების შავი აჩრდილი...

მაგრამ ცხოვრებას თავისი გააქვს. ეს რომ ასე არ იყოს, რა უნდა თქვენს სახეზე ღიმილს, ბებია მაკრინე? მერე ხომ გამარჯვების ზეიმსაც მოესწარით. დოვლათით აივსო სოფელი: ახალი ფერმა, სკოლა, კლუბი, ბაღები, პლანტაციები — სულ ომის შემდეგ არ ააშენა კოლმეურნეობამ?

40 ჰექტარი ჩაის უჭირავს.

81 ჰექტარზე ხეხილის ბაღებია გაშენებული.

100 ჰექტარზე სიმინდი უთესიათ.

10 ჰექტარზე ბოსტანი აქვთ.

100 ოჯახი ფუტკარი ჰყავთ და 12 ჰექტარზე მოწეული ყურძნიდან ღვინოსაც სწურავენ.

მიწამ აუგი არ ათქმევინა ქართველებს, რაც მოსთხოვეს ყველაფერი მისცა და სოფელიც წელმაგარია.

ქართული შემოდგომაა რუსეთში, მსუქანი, ოქროსფერი. რეცხავენ ქვევრებს; ტეხავენ სიმინდს და ლოცავენ მიწას, მადლიანს.

## იქნებ ის უთხრა...

მას ბაღების გაშენება უნდოდა. საქართველო ბაღების ქვეყანაა და აქაც ხომ საქართველოს ხალხნი ვართო. ამიტომ აიკრა ბარგი და თბილისის უნივერსიტეტს კითხვა-კითხვით მიადგა. ივანე ჯავახიშვილი იყო მაშინ ქართული უნივერსიტეტის რექტორი. რუსეთიდან ჩამოსული ქალიშვილი, თანაც ასეთი პატრიოტული განზრახვით, მამაშვილურად მიიღო მეცნიერმა. მოხდა ისე, რომ ქსენია ცხაკაია ბაღების გასაშენებ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ვერ დაბრუნდა პლასტუნკაში, უნივერსიტეტმა არ გაუშვა ნიჭიერი ბიოლოგი, მაგრამ ბაღები არ მოკლებია მის სოფელს.

ერთმა თქვა, — ქსენია ცხაკაია ჩამოვიდაო. ახალგაზრდებმა, რომლებსაც მხოლოდ სახელი გაეგონათ მისი, იკითხეს, — ეს რომელი, უნივერსიტეტის ლექტორიო? მოხუცებმა კი თავი გადააქნიეს: ნეტა მამამისი ეფრემი მოსწრებოდა ასეთი სახელოვანი შვილის ჩამოსვლასო.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, რაც ქსენიამ სოფელი დასტოვა. გოგონა იყო რომ წავიდა და ახლა ჭაღარათმიანი ქალია. სულმოუთქმელმა აირბინა ის მაღლობი, სადაც მათი სახლი იდგა, ეგონა კიდევ ბავშვი იყო და ისე მიიჩქაროდა, თითქოს შინ მშობლები უხვდებოდნენ. სახლი ისევ დინჯად იდგა, მიტოვებული, მაგრამ მაინც ამაყი. თავისი სტუდენტები ახლდა თან ქსენიას და მათ განერიდა, წინ წავიდა, სახლს ირგვლივ შემოუარა, შემდეგ შინ შევიდა და ვინ იცის, რა უთხრა თავის ჭერს, რა გაუზიარა.

იქნებ ის, რომ ბედნიერია, აყვავებული დახვდა სოფელი, ისეთი, როგორიც სურდა რომ ენახა — ბაღები, ვენახები, ბაღები,.. თუმც მან ვერ გააშენა ეს ქართული ვაზი და ვაშლის ხეები, მაინც მისია, რადგან სოფლისაა, მაინც იმ ხალხისაა, რომელმაც გაზარდა.

## კრასნოდარის მხარე,

## სოფელი პლასტუნკა

ამანათის პატარა ყუთი. ზემოთ — ბავშვის ხელით გულმოდგინედ გამოყვანილი:

კრასნოდარის მხარე,
სოფელი პლასტუნკა,
სკოლა,
მესამე კლასის 27-ე მოსწავლეს.

პატარა მეგობარო! აბა, საიდან გეცოდინებოდა, რომ აქ, პლასტუნკაში მესამე კლასის ჟურნალში უკანასკნელი მოსწავლე სიით მეექვსეა?

— წიგნები, ამ ამანათში რომ იყო, ახლა ჩვენი ბიბლიოთეკის თაროებს ამშვენებს, — იღიმება სკოლის დირექტორი ვერა ფრუიძე, — ყუთს კი ბავშვები ვერ შეელიენ და ინახავენ როგორც მეგობრობის ძვირფას სუვენირს.

და მოვარდა წერილების ნიაღვარი: როგორ ცხოვრობთ, როგორ ხართო — ეკითხებოდნენ მოძმეებს თბილისელები, მახარაძელები, თელაველები. ფოსტალიონს მოჰქონდა ამანათები ქართული წიგნებით. ვინ არ გზავნიდა წიგნებს — მწერლები, მუშები, კოლმეურნეები, და რა თქმა უნდა, ბავშვებიც.

## ციალა მასწავლებელი

იარეს და აღმართი ვერ ალიეს. კინაღამ გზიდან მოაბრუნა მამამ შვილი — ამ გადაკარგულში დაგტოვოო?

სკოლა მაშინ მართლაც შორს იყო გზიდან — მთის თავზე, ჩაის პლანტაციებს შორის მყუდროდ იდგა თეთრი სახლი.

პატარა მასწავლებელო! გახსოვს ის უძილო ღამეები, მოწაფეების რვეულებს რომ ასწორებდი? გულზე დარდი მოგაწვებოდა — ცუდი იყო ნამუშევრები, უძნელდებოდათ ბავშვებს მათემატიკა. რვეულების სწორებას რომ მორჩებოდი, თავით იდაყვს დაეყრდნობოდი და დიდხანს, დიდხანს არ ქრებოდა შენს ოთახში შუქი. ფიქრობდი, ფიქრობდი, როგორ გაგეადვილებინა მათთვის ძნელი საგანი, როგორ გაგეკვლია გზა მათი გულებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი გულისაკენ კი გზა ასე უცებ ვერვინ გამოიკვლია. მორცხვი იყავი და ვერავის დაუამხანაგდი. როგორი სიყვარულით გეპყრობოდნენ სკოლის დირექტორი, აქაური მასწავლებლები — ზინა, თამარი. მაინც გული ვერავის გადუშალე, დიდგულააო ციალა ინჯია, — გადაწყვიტეს, და მერე, ალბათ, აღარ შეგაწუხეს.

იმ წელს დიდი ზამთარი მოვიდა პლასტუნკაში. თავს ვერ ჰყოფდნენ გარეთ სოფლელები. ზოგჯერ შეშაც შემოგაკლდებოდა, მაგრამ თუ სხვები არ გაგიხსენებდნენ, არავის შეაწუხებდი. ძნელი იყო ზამთარი, გრძელი — ფიქრში გატარებული ღამეები.

და ფიქრობდი ბიჭუნაზე, დღეს რომ გამოიძახე და ვერ გიპასუხა. მამა არ ჰყავსო,—ყური მოჰკარი და მიხვდი: მხოლოდ დედის ხელები რომ შრომობდნენ მისთვის, მხოლოდ დედას რომ აწვა შვილის აღზრდის სიმძიმე.

შენ ცხოვრების დიდი გამოცდილება არა გაქვს, ციალა, მაგრამ იცი, რა ძნელია, როცა ოჯახში ბავშვს ალერსი და ზრუნვა უნახევრდება.

და მუხლამდე თოვლში მიყვებოდი მთას, უახლოვდებოდი სახლს, სადაც ეს ბიჭუნა დედასთან ერთად ცხოვრობდა. შენ ჯდებოდი მასთან ერთად სამფეხზე და ცეცხლის პირას იყვანდით ამოცანებს. განა ერთი და ორი გყავდა ასეთი ჩამორჩენილი ბავშვი? შენი ცხოვრება შეივსო, ხალხი გიდგას მხარში, და ახლა შორი როდი გეჩვენება სამეგრელო, შენი სოფელი თამაკონი.

## მოგვყავს დედალი ხოხობი...

კეცებზე მჭადები დააკრეს, შუაცეცხლზე ღომი შემოდგეს, ქვევრებს თავი მოხადეს, გოჭი შამფურზე ააგეს. ქორწილია.

დედებმა აკვნებში ჩაკრულ პაწიებს უფროსი დები მიუჩინეს, თავი წაიკრეს, მკლავები დაიკაპიწეს.

მამებმა შეშა მოზიდეს, ქათმები ააწიოკეს, უშობელს თავი გააგდებინეს, ეზოში სუფრები გამართეს.

ბავშვები მალიმალ ჭიშკრისკენ გარბიან, ხომ არ სჩანანო მაყრები. ნეფე-პატარძლის მოლოდინში ქალიშვილები ნაწნავებს ისწორებენ. სოფელი ფეხზე დგას, ასეთია ქართული წესი.

და ...«მაყრულიც» მოვარდა, თანდათან გაძლიერდა, ჭიშკარი შემოგლიჯა. ნეფეს ფეხთით თეფში დაუდეს, პატარძალს პირში შაქარი ჩაუდეს, დასხდნენ.

ნეფე-პატარძალს 6 შვილი შემოუსხდა, 14 შვილიშვილი, 3 შვილთაშვილი. ქორწილია, ბედნიერები რომ იხდიან, ისეთი, ოქროს ქორწილი. და სოფელი იხდის მას.

ორმოცდაათი წლის წინათ ლავრენტი ირემაძემ რომ ნინო ცოლად მოიყვანა, მაშინაც სოფელი იხდიდა ქორწილს. ახლაც ქუდზე კაცი მოვიდა, შინ არვინ დარჩენილა. აქ არიან კარის მეზობლები—უჩაძეები, სვანიძეები, ფრუიძეები, მურუსიძეები, ჩხეტიანები. გურგენიძეებიც ჩამოსულან მაღალ მთიდან, გოდელაძეებიც აქ არიან, ცხვედიანებიც, გოგოლაძეებიც, გავაშელიძეებიც, გოცირიძეებიც—ეს ისინი, რომლებიც შორს ცხოვრობენ. მოდიან და მოაქვთ მოსაკითხი, ნეფე-პატარძლისათვის საგანგებოდ შენაძენი.

აგერ თეკლე, ქართველების რუსი რძალი, ალექსანდრე გოგოლაძის მეუღლე, რუსულზე უკეთ რომ ლაპარაკობს ქართულად.

აგერ მარიამი, რუსი გოგონა, ცქიფურიშვილებმა რომ აღზარდეს და გაათხოვეს.

სულ ბოლოს ვასილი მიდის ნეფე-პატარძალთან. თუმც სოფელი გულღიადაა მასთან, ჯერ კიდევ მორცხვობს ჩაკვეტაძეების ნაშვილები. ვასილმა მშობლები სამამულო ომის დროს დაკარგა, შემდეგ საბავშვო სახლში გაიზარდა. როცა ჯარში გაიწვიეს, ვალოდია ჩაკვეტაძეს დაუმეგობრდა. შინ დაბრუნებისას ვალოდიამ თან წამოიყვანა ძმობილი და მშობლებს მეორე ვაჟიშვილად მიჰგვარა.

... აბა, ტაში, ტაში, და 85 წლის ნეფემ თავისი «დაუბერებელი» პატარძალი საცეკვაოდ გაიწვია.

რუსები და ქართველები ერთად მღერიან «მრავალჟამიერს», ალავერდს გადადიან.

## ღამეა, თბილა...

ქართველს როდი უკვირს ქართული სიმღერა. სიყრმითვე ესმის იგი და სიყრმითვე მღერის. აქ კი გაგვაკვირვა ომახიანმა «ლაშქრულმა». ოდესღაც ამ სიმღერით სხდებოდნენ ცხენებზე აბჯარასხმული ვაჟკაცები და ცრემლებს ვერ მალავდნენ ტანკენარი ქალწულები, — ვფიქრობთ და თეთრწვერა მოხუცს ვუღიმით, — ალბათ ისიც ჩვენსავით ფიქრობს, მას სახე უბრწყინავს. ღელავს მოხუცი და თვალებით მეგობარს ეძებს, თვისტოლს, რომ სათქმელი უთხრას, მაგრამ მისი ხნის არავინაა.

— რა გაღელვებთ, ძია-კაცო, — ვეკითხებით. მოხუცი აკანკალებულ ხელს წვერებზე ისვამს.

— ეს ახალგაზრდები მახარებენ, შვილებო, დღისით ბაღ-ვენახეში ტრიალებენ, საღამოს კი აქეთ მოეშურებიან, კლუბისკენ. შუაღამემდე მღერიან და სოფელსაც შუაღამემდე არ სძინავს. მიხარია მამაპაპურს რომ არ თმობენ. იმდენი ქნეს, გაგრიდან მოიწვიეს ლოტბარი, ქართული სიმღერა გვასწავლეო. განა მარტო სიმღერა? ცეკვებიც. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც სოჭის დამსვენებლებთან სირცხვილი სჭამეს. აქ მოხუცი თვალით ბიჭზე გვანიშნებს, — აი იმას ხომ ხედავთ? მისი წამოწყებაა. კონცერტზე რომ გამოვიდა სოჭში, ერთმა დამსწრემ ქართულად დაუძახა: ბიჭო, ეგ რუსული ბალდადური ვინ გასწავლაო?

თავი მოიკლა და მიაღწია საწადელს. ახლა ნახეთ როგორ ცეკვავენ ჩვენი ბიჭები.

აი, თბილისში ჩამოვლენ, იუბილეზე და არ შერცხვებიან. ეჰ, მეც მინდოდა წამოსვლა. მაგრამ როგორ? ძნელია როცა მუხლები აღარ გიგონებენ. ჯეელი რომ ვიყო, ფეხით ვივლიდი და მაინც ჩავიდოდი თბილის-ქალაქს.

— არაფერია, მოხუცო, ფიქრით მაინც ჩვენთან იქნებით, თბილისში. თქვენს სალამს კი სხვებიც ჩამოგვიტანენ — ჩაის მკრეფავი თამარა ბურჯანაძე, მწველავი გოგონა ლიდა უჩაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო უჩაძე. ჰაუ, რამდენი ძვირფასი სტუმარი გვეყოლება პლასტუნკიდან.

მადლი შენ, სოფელო, რომ ასეთი ხალხი გყავს — ლამაზი, ალალი სტუმართმოყვარე, გულადი. ქართულ წესს არ ღალატობენ და მიღებაც იციან, დახვედრაც. გაცილება კი არ უყვართ სტუმრისა, უნდათ რომ სულ მათთან იყო. რას იზამ! დროა დავემშვიდობოთ ერთმანეთს. ეს ღამეც და ნახვამდის. მივდივართ და მიგვყვება სითბო, სიყვარული.

ღამეა. სოფელს კარგახანია სძინავს. ჩვენ კი ისევ მინდორზე ვსხედვართ. ზემოდან თვალს გვიკრავენ ვარსკვლავები. მთვარის შუქში გახვეულნი, გზის პირას დგანან ალვის ხეები — მოვერცხლილი კელაპტრები. თბილა.

**ლია კაკაბაძე.**
**ნანული ქორიძე.**

კრასნოდარის მხარე,
სოფელი პ ლ ა ს ტ უ ნ კ ა.

# თბილისი 1500 წლისაა



# ზამბახები

ნარკვევი

მიყვები ქუჩას მზით ნაამბორევს, თავზე ცა მხურავს ლურჯი ატლასის. მარჯვნივ მტკვარი მიდუდუნებს. მარცხნივ სიდუს მთაწმინდა.

თბილისი 1500 წლის, განა ბერდა. ის ნისლია თეთრ დაღალულმად რომ ეფინება ხანდახან მხრებზე.

დიდება შენდა, მარად უძვლობო გვირგვინო საქართველოსი.

აქ უმღერა მეფეთა-მეფე თამარს. უსხივოსნეს რუსთაველის კალამმა. უმტკნებია «მერანის» ტატოს. უთხზავს ილიას. აკაკის უბულბულია. აქაა ნეშთი გრიბოედოვის მარად დამტირალ ნინოს სიტყვებით: „Зачем пережила тебя любовь моя“

აქ უბრძოლიათ ქართველებს. სულს შელევიან, ქართველობას კი ვერა.

თბილისი მტრებისგან ნათელი, ნათრგუნი. ქვა-ქვაზე დადებული და კვლავ ამდგარი მკვდრეთით.

მიყვები ქუჩას გაფოთლებულს, არსად ნაკვლი, არსად ნაოჭი. მარჯვნივ სახლები, მარცხნივ სახლები:

მაღლები,

ახლები!

სამგორის ველს თბილისის ზღვა ავლებს ტალღებს თეთრქაფიან არშიად და ნაფუძნიოებს არ შია. მიყვები ქუჩას ამღერებულს. ველიმი დროშას მზიანს. ეს იმ დროშის ნამრავლია, ორჯონიკიძემ რომ უბატყავ ლენინს: თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

თბილისი 1500 წლის. სახურავით ცას მიბჯენილი, ხაბირველით ვარდებში მდგარი.

აქ ჰყვავიან ჩვენებური ფურისულები, მიხაკები, მარიტა, ნარინჯისფერი ყაყაჩოები, იორდასალამი, წყალიკრეფია. ზამბახებიც ჰყვავიან ბაღში, ქართული ზამბახები, იმათკენ მამიხარია.

შულმარის მიყვები, გვირაბს მიყვები, ბაღში ბაღს ვეძებ ზამბახებისას. აჰა, ჰოშკარიც. შევდივარ. ვეშმდები მშვენებისაგან.

* * *

ზამბახები, ზამბახები, ზამბახები, ნაირფერლეჩაქიანნი. ხავერდის გულისპირიანები. ამაყად დგანან მაღალ ფეხებზე.

ქართველობით ამაყობენ იქნებ!

იქნებ იმითაც, რომ თბილისის თანაასაკოვანი არიან.

ზამბახები მეკვებნებ იქნებ სანადიროდ მიმრძანებულ მეფე ვახტანგ გორგასალსა—

მკა მოავონებს ნამგალა ფოთლებით. ან გლეჯის ნამგლიანი ხელით მტრის მოკვეთილი თავი: ჩალმიანი თუ ჩაჩიანი—ნუ დაიწყებთ ჩვენს მიწაწყალზე. მოსავალს ნუ გვიბილწავთ.

... შემდეგ ხოხობი აფრინდა. ხოხობს მიმინო მისდია, ორთავენი დაიმდუღრნენ ტბაში.

«თბილიათ, თბილისი» ბრძანა ვახტანგ გორგასალმა. და ზამბახებმა ხოხბის ჩახოხბვაც «ბილეს», თბილისქალაქის ნათლობაშიც ილხინეს.

იმის შემდეგ მოსდევნიან თბილის მხარდამხარ ქართული ზამბახები.

* * *

ენა რომ ჰქონდეთ ზამბახებს, მოგვითხრობდნენ რა ნახეს. განა არ ნახეს?—

ნარიკალას ციხის გალავნიდან გადმოკიდული ჯღანჯღანით მოჭრილი ქვაჩერები. თბილისიდან გაჭიმულ ციხეებს რომ დასცქეროდნენ:

— ესეც თქვენი მეფეები, «თხის წვერა და ვიცის კიბრებიანი».

ზამბახებიც ფრიალებდნენ ნაირფერ ბაღჭაღებად მაშინ. მხიარულად ფრიალებდნენ.

მეტეხის ხიდის ყურესთან მირეკილი ქართველებიც ნახეს. ისმინეს: «დედათა ოხვრა, როგორც ცაზედ ფარის ბლავილი».

— თავი წავარდეს, ვინაც ალაჰი არ სწამდეს!—ბრძანებდა სიონის ნაგუმბათარზე წამოჭიმული ჯალალედინი.

მტკვარი სისხლისგან გაიბა, ნძალა სისხლით გაძღა, ლამეც მავად შეიმოსა...

და იდგნენ ბაკირზე ზამბახები კვლავ ბრწყინვით.

დიდი ისტატებიც ნახეს ალმაშენებლის ხანაში:

— ვიზეიროთ, ვისწავლოთ, ვაშენოთ, ბრძანა მეფე დავითმა.

და ზამბახებსაც აიტაცებენ ტაძართა და სასახლეთა მოსართავად.

ზამბახებს უმღერის თეკლე ბატონიშვილი:

«ზამბახთა თხზულთა, უნადით მკლდთა,
თეთრა მაღლისა ან განკარგულთა».

ზამბახებს მისტირის ქეთევან ბატონიშვილი:

«აღარ ჰყვავიან ზამბახნი, ვარდნი,
ვანსქრიოება ყოველგნით. მელავს მათი დარდი.»

«მთვარე-ზამბახი» ამღერებს გალაკტიონსაც.

ამას ვფიქრობ და ვუმზერ ზამბახებს. ამაყებს.

წვრილეს ჰგვანან ისინი. ცალფეხა ზღაპრულ წვეროებს: ოქროს ფერებს, ვერცხლის ფერებს, შინდ-მინდ ფერად ცისარტყელებს. ისინშიც ვხედავ, ჭედიანშიც ვხედავ, მინაოშიც ვხედავ გამოფენაზე:

— ლამაზებია!

რა ნაზებია!

— ფერები თუ დედოფლებია! ითქმის სხვადასხვა ენებზე.

ერთი კი, ცისფერთვალება... წიგნში სწერს: ეცხოვემი გამოფენაზე ეს ზამბახები გამოგზავნეთო.

და მეც იქა ვარ ფიქრით: მთების იქით, ზღვების იქით, ჩვენს საზღვრებს იქით. უცხოეთის ლურჯ ზამბახთა ოკეანეს ვხედავ. ბობოქრობენ წყლქყანენი, ცისარტყელა ზამბახები.

— ნუ ეჩრით, ნუ ეჩრით. შრიალებენ მეგობრად ყველა ქვეყანის, ყველა მიწის ყვავილები.

ამ ფიქრებმა გული გამიწყრილა. ესენი კი, ჩვენებური ზამბახები შრიალებენ ბაღში წყნარად მშვიდობაზე, სიყვარულზე, სიხარულზე, და იმღერიან ზღაპრულად წვეთწვეთით. ზამთარ-ზაფხულ ყვავილნარებში, ახალ სახლებში, თეთრფერინაკებში.

ასე ვიცნობ. განა უცხოდ? ხმამაღლებით. განა მარტო? ყვავილების დედოფლისც ჩემთანაა. ქართულ ზამბახთა ქართველი დედა ნინო კეხელიძე.

ეს ზამბახი დახატონი, ეს ზამბახი «საქართველოს სიამაყე». ამ ზამბახს კი ლექსად უმღერონი. ზამბახს უკვდავყონი...

თეთრისაც დასახატია, თეთრისაც ასამღერია, თეთრი ყვავილზე ბოლომდე ბიბრეჯდე.

ამას ვფიქრობ და ვუმზერ ზამბახებს ნაირფერლეჩაქიანებს, ხავერდის გულისპირიანებს, ამაყად დამდგარნი მაღალ ფეხებზე—

თბილისურ ზამბახებს!

თ. ზამბახიძე



# ქართველი მოჭადრაკე ქალები

ფოტო დ. იაკობაშვილის




მანანა ტოგონიძე

ჭადრაკით დაინტერესებული ყოველი ადამიანისათვის ნაცნობია ელისო კაკაბაძის, მანანა ტოგონიძის და ნონა გაფრინდაშვილის სახელები. ისინი ქართული საბჭოთა საჭადრაკო სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები არიან. მათმა შემოქმედებამ და სპორტულმა მიღწევებმა საერთო აღიარება ჰპოვეს ჩვენს ქვეყანაში.

ჭადრაკს საქართველოში მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რომელთა შენარჩუნებამ და განვითარებამ მოგვცა დღეს შესანიშნავი ქართველი მოჭადრაკე ქალები.

ჭადრაკს ქართველები გაეცნენ დაახლოებით VII—VIII საუკუნეებში, როცა მათ მჭიდრო დიპლომატიური და სავაჭრო ერთიერთობა ჰქონდათ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებთან.

იმ დროს ჭადრაკი ხალხში ვრცელდებოდა ცალკეულ ოჯახთა მეოხებით, აქ თვალსაჩინო როლს ასრულებდა დედა. სხვა თამაშებთან ერთად იგი ჭადრაკსაც ასწავლიდა შვილებს. დადასტურებულია, რომ ძველ საქართველოში გასათხოვარ ქალს მზითვად «ვეფხისტყაოსანთან» ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ ხოლმე. მაგალითად, ვახტანგ მეექვსემ თავის ასულს თეკლე ბატონიშვილს მზითევში სხვა განძეულთან ერთად ჭადრაკიც უბოძა, რასაც გვამცნობს 1.712 წელს შედგენილი მზითევის სია.

ჭადრაკის ასეთი პოპულარობის მიუხედავად, ისტორიამ მაინც ვერ შემოგვინახა ძლიერი მოჭადრაკე ქალების სახელები. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ XX საუკუნის 20-იან წლებამდე არ ეწყობოდა ქალთა საჭადრაკო შეჯიბრებანი და ამიტომ საზოგადოებრიობა არ იცნობდა მათ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რამდენიმე ცნობამ ქართველი მოჭადრაკე ქალების შესახებ.

ჭადრაკი მიღებული იყო გამოჩენილი პოეტის ალ. ჭავჭავაძის სახლში. პოეტის სამივე ქალიშვილი თამაშობდა მას. უფროსმა ქალიშვილმა ეკატერინემ ჭადრაკი თავის შვილებსაც შეაყვარა. ხოლო მისმა უმცროსმა ვაჟმა ანდრია დადიანმა რუსეთსა და ევროპაში გაითქვა სახელი, როგორც ძლიერმა მოჭადრაკემ.

რაჭა-ლეჩხუმში კარგი მოჭადრაკის სახე-



ნონა გაფრინდაშვილი

ლით სარგებლობდა სოფელ უწყერის მკვიდრი ფოცინე ჩიქოვანი (1812—1907 წწ). იგი ჭადრაკს ხოგჯერ ქუთაისში გ. დადიანის სალონშიც თამაშობდა. აქ, სხვათაშორის, ფ. ჩიქოვანი შეხვდა ჭადრაკის მოტრფიალე პოეტ მამია გურიელს და მოუგო მას პარტია. ფ. ჩიქოვანს ჭადრაკი მზითევში გამოყოლია, შემდეგ მას იგი თავისი ქალიშვილისთვის გაუტანებია.

ქალთა საჭადრაკო მოძრაობას მტკიცე საფუძველი ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაეყარა. 1927 წელს პირველად მოეწყო ქალთა შორის თბილისის პირველობა, რომელშიც ჩემპიონის სახელი მოიპოვა ელენე ხაუტაშვილმა. მას შემდეგ ცხრამეტჯერ გათამაშდა დედაქალაქის პირველობა, ხოლო 1935 წლიდან თექვსმეტჯერ გაიმართა საქართველოს პირველობა. ამ დიდ და პასუხსაგებ ტურნირებს, როგორც წესი, ყოველთვის წინ უსწრებდა მრავალი შეჯიბრება ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში.

დიდმა საორგანიზაციო მუშაობამ, რომელიც გასწია საქართველოს საჭადრაკო საზოგადოებრიობამ, სასურველი ნაყოფი მოგვცა— გამოჩნდნენ ქართველი მოჭადრაკე ქალები: საქართველოსა და თბილისის მრავალგზის ჩემპიონი ქსენია გოგიავა და საქართველოს ორგზის ჩემპიონი ლილი გელოვანი. საჭადრაკო ცხოვრებაში ამ მოჭადრაკეების აქტიურმა მონაწილეობამ ბიძგი მისცა ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალთა ნიჭიერი თაობის გამოჩენას. ქალთა საჭადრაკო მოძრაობის ტრადიციების შექმნას საქართველოში ფასდაუდებელი სამსახური გაუწია აგრეთვე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტმა, სადაც ცნობილმა მწვრთნელმა ვ. ქარსელაძემ აღზარდა და ჭადრაკის საკავშირო ასპარეზზე გამოიყვანა ელისო კაკაბაძე, მანანა ტოგონიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ლეილა ნაჭყეპია, ლიანა ხაჭაპურიძე და სხვები.

პირველი სამი ქალიშვილი 1953 წლიდან ყველა მაღალ საჭადრაკო წოდებას დაეპატრონენ. 1953, 1954, 1955 წლებში რესპუბლიკის ჩემპიონი იყო ელისო კაკაბაძე. 1956 წელს მას ჩემპიონობა ჩამოართვა 15 წლის ნონა გაფრინდაშვილმა. 1957 წელს პირველობაზე სპორტული პაექრობა გაიმართა გაფრინდაშვილსა და კაკაბაძეს შორის:



ელისო კაკაბაძე

სძლია უკანასკნელის გამოცდილებამ და ელისო მეოთხედ გახდა ჩემპიონი. 1958 წელს კი ყველას აჯობა მანანა ტოგონიძემ, რომელიც მანამდე მეორე-მესამე ადგილებზე გამოდიოდა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ქალიშვილი სხვადასხვა დროს იყო თბილისის ჩემპიონი. 1954 წელს მანანა ტოგონიძემ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად გოგონათა შორის გამართულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

ქალიშვილები არა ერთხელ მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პირველობაში ქალთა შორის და აქ მოპოვებული წარმატებებისათვის შეყვანილი არიან ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში. მათი თამაშის ძალას მოწმობს ისიც, რომ კაკაბაძეს და ტოგონიძეს დამარცხებული ჰყავთ მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ე. ბიკოვა, ნონა გაფრინდაშვილს არაერთხელ მოუგია მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ლ. რუდენკ ისათვის.

სამივე მოჭადრაკე ახალგაზრდაა. ნონა გაფრინდაშვილი უცხო ენათა ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია. მანანა ტოგონიძე სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ელისო კაკაბაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობს უმცროს მეცნიერ თანამშრომლად პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

დიდი მომავლის მქონე ნიჭიერ მოჭადრაკე ქალიშვილთა მიზანია ქართული საბჭოთა ჭადრაკის ალამი გაიტანონ მსოფლიო ასპარეზზე.

ამ მიზნის მისაღწევად მათ ყველა პირობა აქვთ: შრომისმოყვარეობა, ბუნებრივი მონაცემები და სიყვარული საჭადრაკო ხელოვნებისადმი.

* * *

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს—XX საკავშირო ნახევარფინალებში მ. ტოგონიძემ და ნ. გაფრინდაშვილმა პირველი ადგილები დაიკავეს, ე. კაკაბაძემ და ბათუმელმა ა. ჩაიკოვსკაიამ—მესამე, რითაც ნიჭიერმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ბრძოლის უფლება.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.




ალა ჩაიკოვსკაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაიმე წერეთელი



ყოფილხართ მზიურ აჭარაში?

გინახავთ ჩაის ხავერდოვანი ბუჩქებით დამშვენებული გორაკები და მთის ფერდობები?

სწორედ ასეთი გორაკებითა და ფერდობებით არის შემოხატული პატარა სოფელი ჩაისუბანი.

ამ რამდენიმე წლის წინ ამ სოფელში, ერთ დაბალჭერიან სახლის აივნიდან ძველმა ბერდენამ დაიქუხა.

ადრიანი დილა იყო. მზეს ცისკიდური წითლად შეეღება.

ბერდენას ხმაზე მოცვენილმა მეზობლებმა აივანზე ამაყად მდგარ დარბაისელ ხუსეინ წერეთელს ვაჟის შეძენა მიულოცეს.

ხუსეინს მოგრძო, ნათელ სახეზე ღიმილმა გადაკრა.

— ვაჟიო? მაშ. ჩემი ქალიშვილი შვილად არ მიგაჩნიათ!? დაიცადეთ, გაიზარდოს და ვნახოთ, თუ რომელიმე ვაჟკაცს დაუგდოს ტოლი! განა ძველი დროა?

ჯერ სულ პატარა იყო, როცა დედამ ჩაის პლანტაციაში წაიყვანა. მაშინ არც კი იცოდა ნაიმემ ამ „მწვანე ოქროს“ მნიშვნელობა, მაგრამ ძალიან კი მოეწონა დიდრონი, გადაბალჩული ბუჩქები. დედოფალა მიწაზე დადო და ბუჩქებს, ალერსით გადაუსვა ხელი.

..მალე სკოლაში შეიყვანეს.

... ნაიმემ გაიგო ჩაის მწვანე ფოთლის მნიშვნელობაც, კრეფაც ისწავლა და სკოლიდან დაბრუნებული ისადილებდა თუ არა, პლანტაციაში გარბოდა დედის დასახმარებლად.

ნაიმე საშუალო სკოლის დამთავრებისას უკვე დახელოვნებული მკრეფავი იყო— დედას თუ არ ჯობნიდა, არც ტოლს უგდებდა.

საშუალო რომ დაამთავრა, ჩაის ნაკვეთი გაიპიროვნა და, როგორც საკუთარ თვალის ჩინს, ისე უვლიდა.

როგორ უხაროდა ნაიმეს, ამ ათი წლის წინ თავის ნაკვეთიდან პირველი მოსავალი და გეგმის ზევით რამდენიმე ასეული კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი რომ მოკრიფა.

სულ მოკლე ხანში მან ჩაის უხვი მოსავლის ოსტატის საპატიო სახელი დაიმკვიდრა.

გათენებამდე პლანტაციაში იყო და შებინდებამდე არ ტოვებდა მას.

მას შემდეგ, რაც ჩაისუბნელი კოლმეურნეები უკრაინის ბელოზერსკის რაიონის კოლმეურნეებთან ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხომ მოსვენება არ აქვს.

რა გაუმაძღარია ადამიანის გული:

ტონა-ტონანახევრით აჭარბებს წლიურ გეგმას, 5000—5600 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს ნახევარ ჰექტარზე, 500—550 შრომადღეს იმუშავებს ყოველწლიურად. და მაინც ამბობს, ცოტააო.

გასულ წელს უკრაინელ მეგობრებს ეწვია.

მეგობრები ისე აღაფრთოვანა ნაიმეს წარმატებებმა, რომ მაჯის ოქროს საათით დაასაჩუქრეს იგი.

ბევრი მოწინავე ჩაის მკრეფავი ყავს ამ სოფელს—ნაზი ჩახვაძე, ნადიდე ფალავა, სურიე გორგილაძე. მერი ცენტერაძე, უმიან ფალავა... ჩაისუბნელმა ვარდო ბრუნჯაძემ საქვეყნოდ გაითქვა სახელი— სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა და უბრალო ჩაის მკრეფავი, დღეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორია.

უხარია ნაიმეს, რომ მათ გვერდით ისიც ღირსეულად იცავს თავისი სოფლის, რაიონის, ოლქისა თუ რესპუბლიკის სახელს. ნაიმესთან ერთად მუშაობენ მისი უმცროსი დები მერი და ზერა. მართალია ისინი ჩამორჩებიან ნაიმეს, მაგრამ გაიზრდებიან და დახელოვნდებიან. დედაც, ქალიშვილების ბეჯითი შრომით აღტაცებული, ხშირად იწვევს შვილებს შეჯიბრებაში.

მთელი ოჯახი მუშაობს. წლიურად სახელმწიფოს 8—10 ტონა ხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს აბარებენ და 30—35 ათას მანეთს იღებენ. მშვენივრად მოაწყვეს თავიანთი ცხოვრება, ახლახან შრომადღეებზე მიღებული ფულით ნაიმემ ორსართულიანი ქვის ლამაზი სახლი აიშენა და ძვირფასი ავეჯეულობით მორთო...

გამართლდა ხუსეინის წინათგრძნობა...

ნამდვილად ბედნიერია ნაიმეს დედა საადეთი: მისი ქალიშვილი რომელ ვაჟკაცს ჩამოუვარდება! მართალია საადეთს ქმარი ადრე გარდაეცვალა, მაგრამ წერეთლების ოჯახს უკაცობა არ უგრძვნია.

**გოგოლა ჭანუყვაძე,**
**რაჟდენ ჩაჩუა.**

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.**

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. **ფასი 3 მან.**

შეკვეთის № 1C64, უე 06764.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

**Ежемесячный общественно-политический и художественно—литературный журнал „Сабчота Кали“,**
**Издательство ЦК КП Грузии.**

მარგარიტა უანდი კამერუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ერთერთი ხელმძღვანელია. წინასადღესასწაულო დღეებში მან ინახულა თბილისი.



ჩვენი თვითმფრინავი თბილისს მიუახლოვდა. თვალწინ გადაიშალა უამრავ ბორცვებზე გაშენებული საქართველოს დედაქალაქის თვალწარმტაცი პეიზაჟი....

განსაკუთრებით ლამაზია ქალაქი ღამით, მთვარის შუქზე ის ემსგავსება ვარსკვლავებით მოჭედილ ცის კამარას.

არასოდეს არ დამავიწყდება ქვეყანა, სადაც ხალხი ასე თავაზიანია.

მე მათ ვუსურვებ კარგსა და ბედნიერ დღესასწაულს. მარგარიტა უანდი.

ფოტო გ. ვახტანგაძის

6.1177/209 5.7/169

ეროვნული ბიბლიოთეკა

